შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: განრიდება და მედიაცია ქართულ სისხლის სამართალში

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **ნანული ქიმაძე**

ნაშრომის ხელძღვანელი:

პროფესორი **შენგელი ფიცხელაური**

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია 3

Annotation 4

შესავალი 5

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა 8

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი 10

2.1 განრიდების და მედიაციის წარმოშობის და განვითარების ისტორია 10

2.2 განრიდების და მედიაციის პრინციპები 19

2.3 არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროცესი 27

2.4 განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში 41

2.5. განრიდების და მედიაციის, როგორც ალტერნატიული მართლმსაჯულების ფორმა გერმანიაში 48

თავი III. კვლევის შედეგები 52

დასკვნა 55

დანართი N1 58

დანართი N2 59

გამოყენებული ლიტერატურა 60

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება „განრიდებას და მედიაციას ქართულ სისხლლის სამართალში“ ნაშრომში განხილულია ისეთი საკითხები რომლებიც მეტად აქტუალური, პრობლემატური და საინტერესოა. ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს მისი სიახლე, აქტუალურობა ასევე რამდენად გამართლებულია ქართულ კანონმდებლობაში. აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ აღნიშნული პროგრამა დიდი პოპულარულობით სარგებლობს არამარტო საქართველოში არამედ მსოფლიოს მრავალ წამყვან ქვეყანაშიც.

თემაში განხილული გვაქვს თუ რას ნიშნავს განრიდება და მედიაცია, ასევე განრიდების და მედიაციის პრინციპები, განრიდების და მედიაციის ღნისძიებები, განრიდების და მედიაციის პროცესი, ასევე განხილული გვაქვს თუ რა არის არასრულწლოვანთა განრიდება რომელიც ბოლო დროის ყველზე აქტუალური და პრობლემატური საკითხია, ასევე თემაში განხილულია ისეთი საკითხები რომლებიც ხაზს უსვამს განრიდების და მედიაციის როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებს. თემაში გამოყენებული და შედარებულია ქართული კანონმდებლობა გერმანულ კანონმდებლობასთან იმისათვის რომ კარგად გავიგოთ რა განსხვავება და საერთოა ამ ორ ქვეყანას შორის კონკრეტულად ამ თემასთან მიმართებით.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავალის, ლიტერატურის მოკლე მიმოხილვის, სამი თავის, ქვეთავებისა და დასკვნისაგან. ასევე თემას ახლავს დანართების სახით ინფორმაცია სადაც მოცცემულია სტატისტიკური მონაცემები. თემას ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და მთლიანობაში მოიცავს თაბახზე ნაბეჭდ 62 გვერდს.

Annotation

The master's thesis is dedicated to "Diversion and Mediation in the Georgian Criminal Law" The work deals with issues that are more relevant, problematic and interesting.

The main purpose of the work is its novelty, the actuality is also justified in Georgian legislation. It is noteworthy that this program is very popular not only in Georgia but also in many leading countries of the world

Discussion and mediation, principles of diversion and mediation, diversion and mediation process, also discussed what is the diversion of juveniles which is the most current and problematic issue in recent times, and the topics discussed underlined issues I'm moving out mediation and both the positive and negative sides.

The Georgian legislation is used in the topic and compared with the German legislation to understand the difference and the relationship between this two countries in particular.

The master's thesis consists of an introduction, a summary of literature, three chapters, subheadings and conclusions. It also contains the information in the form of annexes where statistics are available. The list contains the list of used literature and includes a total of 62 pages on Tabakh.

შესავალი

თემის აქტუალობა. ჩემს მიერ აღნიშნული თემის არჩევა მისმა აქტუალობამ განაპირობა. ეს გახლავთ „განრიდება და მედიაცია ქართულ სისხლის სამართალში," რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმია.

განრიდებისა და მედიაციის პროგრმა ეტაპობრივად განვითარდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რომელთა რიცხვს დღეს საქართველოც მიეკუთვნება. აღნიშნული პროგრამის აღმოცენებამდე სისხლის სამართლის სისტემის ირგვლივ უამრავი ადამიანი ხვდებოდა, რომელთა მიმართ გამოიყენებოდა ყველაზე მკაცრი სასჯელის ზომები და არ არსებობდა ალტერნატიული მექანიზმები, რომლებიც დაიცავდა სასჯელის ყველაზე მკაცრი ზომის, თავისუფლების აღკვეთისაგან.

ამ ადამიანების რიცხვში, რა თქმა უნდა, მოიაზრება არასრულწლოვანი პირებიც, რომელთაც არ ჰქონდათ საშუალება, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელი სხვა ფორმით მოეხადათ. რა თქმა უნდა, იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დანაშაულებრივ ქმედებასა და მისჯილ სასჯელს შორის ლოგიკური შესაბამისობა არ იყო და ჩადენილი დანაშაულის პროპორციული სასჯელზე ბევრად მეტს უსჯიდნენ.

სწორედ იმის გამო არის ეს თემა აქტუალური, რომ ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს აგვარებს და უამრავი ადამიანი მის მიერ ჩადენილი დანაშაულის

პროპორციულად ისჯება და ეს შეიძლება ისე მოხდეს, რომ სულაც არ გახდეს საჭირო მათი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსება სასჯელის მოხდისათვის. ეს არის სწორედ „განრიდებისა და მედიაციის“ როლი ქართულ რეალობაში, რომ პირი, რომელიც ჩაიდენს ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულს, შანსი აქვს, ისარგებლოს განრიდებისა და მედიაციის პროგრამით და თავი აარიდოს სასჯელის ყველაზე მკაცრ ზომას - თავისუფლების აღკვეთას.

სწორედ ასეთი აღდგენითი მართლმსაჯულება იცავს უამრავ ადამინს, თავი აარიდოს სასჯელაღსრულების დაწესებულებას. ასევე, რა თქმა უნდა, არსებული პროგრამა არასრულწლოვნებში დიდი ჰუმანურობის გამომხატველია. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, თემის აქტუალობაც იმაში გამოიხატება, რომ სწორედ ამ პროგრამის ჩამოყალიბებას მოჰყვა სრულწლოვანთა თუ არასრულწლოვანთა, ქალთა თუ მამაკაცთა მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენება.

კვლევის მიზნები. ჩემს მიერ წარმოდგენილი თემის მიზანია, გამოკვეთოს, თუ რა პრობლემის წინაშე ვდგავართ, ასევე მივიდეთ იმ დასკვნამდე, არსებული მექანიზმის დანერგვა ქართულ რეალობაში შედეგიანია თუ არა, მიაღწია თუ არა დასახულ მიზანს, ხომ არ გამოიწვია უარყოფითი შედეგები და ხომ არ დაგვაყენა იმ რეალობის წინაშე, რომ აღნიშნული მექანიზმი გახდა მაპროვოცირებელი დანაშაულებრივი ქმედების რიცხვის მომატების, გაამართლა თუ არა არასრულწლოვნებში და აღმოჩნდა თუ არა მათთვის ჰუმანური.

ასევე, აღნიშნული თემის მიზანია საქართველოში არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების გაანალიზება, სამართლებრივი, პრაქტიკული და თეორიული რეკომენდაციების შესწავლა იმ მიზნისა და საბოლოო შედეგის გამოსაკვეთად, რა მიზანიც ამ თემით დავისახე და ამ საშუალებით საზოგადოებას მინდა მივაწოდო სრული, ამომწურავი და საინტერესო ინფორმაცია.

კვლევის ამოცანები. იმისათვის, რომ დასახული მიზანი რეალობად ვაქციოთ, ამისათვის საჭირო და აუცილებელია გადაიჭრას შემდეგი ამოცანები:

- განრიდებისა და მედიაციის, ისტორიის გაანალიზება;
- ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის გაანალიზება;
- განრიდებისა და მედიაციის წარმოშობისა და მისი განვითარების კვლევის ანალიზი;
- განრიდებისა და მედიაციის ადგილობრივი კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში;
- განრიდების და მედიაციის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის ცნების განსაზღვრა;
- სასამართლო პრაქტიკის ანალიზი;
- სტატისტიკური კვლევის ანალიზი.

კვლევის მეთოდები. ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევისა და ამოცანების გადაჭრისათვის, თემაში გამოყენებული გვაქვს კვლევის სხვადასხვა მეთოდი. ესენია: ისტორიული მეთოდი, სტატისტიკური მეთოდი, სასამართლო პრაქტიკა, შედარებითი მეთოდი, სამართლებრივი ანალიზის მეთოდი და სხვა.

მოცემული მეთოდების გამოყენებით და დახმარებით აღნიშნული თემის შესახებ მოვიპოვეთ ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია, რათა გავვიგოთ, რა არის „განრიდება და მედიაცია“ და მასთან დაკავშირებული საკვლევი საკითხები.

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

განრიდებისა და მედიაციის საკითხებთან დაკავშირებით საკმაოდ მოცულობითი ლიტერატურაა დამუშავებული. მათგან ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ ის მასალა, რომელიც დაგვეხმარებოდა აღნიშნული თემის სრულყოფილად დამუშავებაში. აქედან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის - განრიდებისა და მედიაციის საწყისებისა და მათი შემდგომი განვითარების კვლევისას, გავაანალიზეთ გ. ცერცვაძის სამეცნიერო ნაშრომი - „მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა“, რომელიც დაგვეხმარა, გაგვეცნო მედიაციის წარმოშობა და ისტორია, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუ როგორ ვითარდებოდა იგი დღემდე, ასევე როგორია მედიაციის რეგულირება ცალკეული სახელმწიფოების, კერძოდ, გერმანულ კანონმდებლობაში.

ისეთი საკითხების შესასწავლად, თუ ვის შეუძლია განრიდების შეთავაზება, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ პირი არ შეასრულებს განრიდების პირობებს და ვის მიმართ არ გამოიყენება განრიდება, გაანალიზებულ იქნა საქართველოს 2009 წლის

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168^1 და 168^2 მუხლები, ასევე ავტორთა კოლექტივის მიერ მომზადებული „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით“.

იმისათვის, რომ არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პირობებზე, პრინციპებზე, პროცესის მონაწილეებზე სიღრმისეული ცოდნა დაგვეგროვებინა და შესაბამისი დასკვნები გაგვეკეთებინა, ჩვენს მიერ მოძიებულ და დამუშავებულ იქნა: საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, მ. შალიკაშვილისა და გ. მიქანაძის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, მ. შალიკაშვილის „არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის, სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები“, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის №120 ბრძანება „არასრულწლოვანთა მიმართ, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის, გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების, ძირითადი პირობების შესახებ“, ნ. გვენეტაძის და მ. კვაჭაძის სახელმძღვანელო „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, განრიდება და მედიაცია“.

რ. ჯორბენაძის სახელმძღვანელო ასევე დაგვეხმარა გაგვეანალიზებია, თუ რას ემსახურება მედიაცია და რა არის მედიაციის ეფექტური პრინციპები. ნაშრომში ასევე გაანალიზებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა განრიდების და მედიაიცის ღონისძიებები, რომლის გასაანალიზებლად გამოვიყენეთ „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, კერძოდ მუხ. 42.

ასევე, ყურადღების მიღმა არ დარჩენილა განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, რომლის ანალიზიც გავაკეთეთ შემდეგი ლიტერატურიდან: მ. ქუთათელაძის სადისერტაციო ნაშრომი „განროდება და მედიაცია სისხლის სამართალში“, ქელბაქიანის და ცაგარელის „არასრუწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პრობლემის კვლევა საქართველოში.“

სამაგისტრო ნაშრომში გაანალიზებულია როგორც არასრუწლოვანთა, ასევე სრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია. ამისათვის გამოვიყენეთ: გ. არსოშვილის

და გ. მიქანაძის ნაშრომი „პრობაციის სამართალი“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

რაც შეეხება დაზარალებულს განრიდების და მედიაციის პროცესში, მასთან დაკავშირებით განვიხილეთ მ. შალიკაშვილის „ვიქტიმოლოგია დანაშაულის მსხვერპლის შესახებ“, საქართველოს 2009 წლის სისხლის სამართლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ასევე გ. თუმანიშვილის „სისხლის სამართლის პროცესი - ზოგადი ნაწილის მიმოხილვა“.

საქართველოში არსებულ რეალობასთან შესადარებლად ასევე გამოვიყენეთ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესახებ ცნობები: მ. ქუთათელაძის სადისერტაციო ნაშრომი „განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში,“ კ. გუცენკოს, გ. გოლოვკოს და ბ. ფილინომოვის „დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი“ და კულიას და კულმანის „ მედიაცია გერმანიასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში.“

თავიII. კვლევის მეთოდი და ანალიზი

2.1 განრიდების და მედიაციის წარმოშობის და განვითარების ისტორია

განრიდება და მედიაცია - ეს არის სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა კი წარმოადგენს სხვადასხვა ხერხებს. თვითონ სიტყვა „ალტერნატივა“ ანუ სხვა ხერხი მიგვითითებს, რომ შესაძლებელია დავა გადაწყდეს არა სასამართლოს გზით და არა აუცილებლად პატიმრობის მისჯით, არამედ პირიქით - ტრადიციული სასამართლო პროცესის გარეშე.

რა არის მედიაცია? მედიაცია - ეს არის მოლაპარაკების პროცესი, რომელსაც უძღვება მედიატორი და იგი, რა თქმა უნდა, არის მიუკერძოებელი მესამე მხარე. „მედიაციის ცნება პირველად გამოიყენებოდა სამოქალაქო სამართლის კუთხით და გულიხმობდა განქორწინების დროს მესამე პირის მეშვეობით საქმის მოგვარებას. კრიმინალურ მეცნიერებაში მედიაცია სწორედ კერძო სამართლიდან

შემოიჭრა და გულისხმობს კონფლიქტის მენეჯმენტს. გერმანელი კრიმინოლოგები მედიაციას მიიჩნევენ ისეთ სხვადასხვა სახის ღონისძიებათა და რეაბილიტაციის ფორმად, რომლის მიზანი დანაშაულიდან წარმოშობილი დავის მოგვარებაა."[1]

მედიაცია საქართველოში მოქმედებს 2012 წლის 1 იანვრიდან, თუმცა მას დიდი ისტორიული წარსული აქვს.[2]

ძალიან ბევრ ქვეყანაში და მათ შორის, ქართულ სისხლის სამართალშიც, მედიაცია საკმაოდ წარმატებული ფორმაა დამნაშავის და დაზარალებულის შესარიგებლად, რომელსაც ახორციელებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მესამე მხარე - მედიატორი.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის №120 ბრძანების თანახმად: „მედიაცია არის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი, რომელსაც უძღვება მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის გადაწყვეტა. მედიაციის პროცესში მონაწილეობს აგრეთვე არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, ან/და სხვა პირი. სურვილის შემთხვევაში ამ პროცესში მიღების უფლება არასრულწლოვანსაც შეუძლია".[3]

„მედიაცია დაახლოებით იმდენი ხანია არსებობს, რამდენი ხანიც არსებობს ადამიანთა ორგანიზებული საზოგადოება. მედიაცია სავარაუდოდ უფრო ძველია, ვიდრე პირველი სასამართლო სისტემა და შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მოდელი საერთო სასამართლოების შესაქმნელად. უფრო მეტიც, დავის გადაწყვეტის ეს არაოფიციალური მოდელი დამკვიდრდა მთელ მსოფლიოში.[4]

---

[1] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრანქფურტი, სტრასბურგი, 2016, გვ. 107;

[2] ს. ტყემალაძე, მედიაცია საქართველოში, თბ., 2016, გვ. 13.

[3] საქართველოს იუსტიციის მინისტრის №120 ბრძანება;

[4] მ. სტივენ ოსტერმინელერი, რ. დილეინ, სვენსონი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, გამომც. „მერიდიანი", თბ., 2014, გვ. 121

ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში გამოცემული გერმანული ლიტერატურა თითქმის ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ მედიაციის ისტორია აშშ-ში დაიწყო დაახლოებით 30 წლის წინ.[5]

როგორც უკვე ავღნიშნეთ, განრიდება და მედიაცია სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმია, რომელიც საქართველოში დაინერგა 2010 წელს და ეტაპობრივად ვითარდებოდა დღემდე. ამ პროგრამაში მოიაზრება, რომ იმ პირის მიმართ, რომლიც პირველად ჩაიდენს დანაშაულს, შესაძლოა გამოვიყენოთ განრიდება და მედიაცია და არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც შემდგომ ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის N216 ბრძანებაში ვკითხულობთ: „განრიდებისა და მედიაციის პროგრამა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ახალი მექანიზმია. ეს მექანიზმი ეტაპობრივად დაინერგება. პროგრამის მიზანია იმ არასრულწლოვნის გათავისუფლება სისიხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული. თუ ამ დრომდე არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთვისუფლება შეეძლო მხოლოდ სასამართლოს, ახლა უკვე პროკურორს აქვს უფლება, განარიდოს პირი სისხლის სამართალწარმოებას და მის შედეგებს.“[6]

2010 წლის 15 ნოემბრიდან ამოქმედდა პროგრამა, რომელიც სახეზე გავქვს განრიდება-მედიაციის სახით. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს სამი ძირითადი რგოლი: პროკურორები, მედიატორები და სოციალური მუშაკები. აღნიშნული პროგრამის მთავარი მიზანია, რომ პირს, რომელიც პირველად ჩაიდენს ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულს, მიეცეს ერთი შანსი და ხელი შევუწყოთ მის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. [7]

---

[5] გ. ცერცვაძე, „მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა“, თბ., 2010, გვ. 64

[6] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის #216 ბრძანება „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების, ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“.

[7] მ. შალიკაშვილი, „არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები“, თბ., 2013, გვ. 40;

2010 წლის ივლისში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება. ამ ცვლილებასთან ერთად ამოქმედდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების განრიდებისა და მედიაციის მექანიზმი, როემლიც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმია. განრიდების კონცეფცია ემყარება თეორიას, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვან სამართალდამრღვევს მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრამ შესაძლოა უფრო მეტი ზიანი მოუტანოს, ვიდრე სიკეთე.

ამის გარდა, განრიდების პროგრამა შემუშავებულია იმისათვის, რომ მოხდეს სასამართლოების, სასჯელაღსრულების დაწესებულების, ასევე დროებითი მოთავსების იზოლატორიების განტვირთვა და მეტი ყურადღების დაეთმოს უფრო საშიშ სამართალდარღვევებს.[8]

განრიდების და მედიაციის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექნიზმის დაარსება და მისი განვითარება დღემდე ძალიან საინტერესოა და რაც მთავარია, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ეს ინსტიტუტი საბოლოო ჯამში უფრო მეტად მოქნილი და შედეგიანი იყოს.

ამის მაგალითია ის, რომ 2017 წელს საქართველოს მთავარ პროკურატურაში კონფერენცია გაიმართა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე, რომელსაც მხარი დაუჭირა გაერო-ს ბავშვთა ფონდმა და ევროკავშირმა. აღნიშნულ კონფერენციაზე პროკურატურის მიერ წარმოდგენ იქნა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ანგარიში, განრიდების საქმეების კრიმინოლოგიური ანალიზი და მონაცემები დაზარალებული არასრულწლოვნების შესახებ.

გაერო-ს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა სამომავლოდ მათი მხარდაჭერით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ისაუბრა.[9] პროკურატურის წარმომადგენლებმა კი გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს იმის თაობაზე მიაწოდეს ინფორმაცია, თუ რა მიღწევები და გამოწვევები არსებობს

[8]2010 წლის ივლისის სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისშესახებ: https://mimomxilveli.wordpress.com/category (უკანასკნელად ნანახია 20.03.2019)

[9] გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის ინტერვიუ: https://www.primetime.ge/(უკანასკნელად ნანახია 28.03.2019. 14:02)

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით. ასევე, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება არის პროკურატურს პრიორიტეტი.

სწორედ ამიტომ, მათი თქმით, 2016-2017 წლებში დიდი ნაბიჯები გადაიდგა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის - განრიდებისა და მედიაციის განვითარებისათვის, რასაც მოჰყვა სისხლისსამართლებრივი დევნის შემცირება, ასევე დაკავების და პატიმრობის გამოყენების მაჩვენებლები.

„აღსანიშნავია, რომ განრიდების მაჩვენებლის ზრდის პარალელურად, განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი დაბალია, რაც პროგრამის ეფექტურობაზე მიუთითებს.“[10]

ეხლა უშუალოდ გადავხედოთ 2016-2017 წლის განრიდების გამოყენების სტატისტიკას და განმეორებით დანაშაულის ჩადენის რიცხვს. განრიდების და მედიაციის პროგრამის დაარსებიდან (2010 წლის 12 ივნისი) 2017 წლის 9 თვის ჩათვლით, განრიდებულთა რაოდენობა 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვნებში შეადგენს 1810 პირს, რომელთაგანაც მედიაცია გამოყენებულ იქნა 334 პირის მიმართ და შედგა 276 მედიაციის საერთო შეხვედრა.

2016 წელს განრიდებულ იქნა 784 პირი, აქედან 462 არასრულწლოვანი და 322 სრულწლოვანი, რომელთაგანაც მედიაცია გამოყენებულ იქნა 287 პირის მიმართ და შედგა 222 მედიაციის საერთო შეხვედრა. 2016 წელს განრიდებულთა 70%-ს ჩადენილი აქვთ ქურდობა, 2017 წლის მონაცემებით კი განრიდებულთა 81%-ს ასევე ჩადენილი აქვთ ქურდობა. [11] როგორც ირკვევა, ჩადენილ დანაშაულთა უმეტესი წილი ქურდობას წარმოადგენს, რომელიც მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება. (იხ.დანართი #1)

რაც შეეხება 2018 წლის სტატისტიკას - სულ განრიდებულ იქნა 897 პირი, აქედან არასრულწლოვანი 497, ხოლო სრულწლოვანი 400. 771 მამრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 126 - მდედრობითი, საიდანაც 427 იყო არასრულწლოვანი მამრობითი სქესი, ხოლო სრულწლოვანი 344. რაც შეეხება

[10] იქვე.(უკანასკნელად ნანახია 28.03.2019, 14:12)

[11] სტატისტიკის შესახებ:http://pog.gov.ge (უკანასკნელად ნანახია, 28.03.2019. 14:26)

მდედრობით სქესს, არასრულწლოვანი - 70, ხოლო სრულწოვანი - 56. [12] (იხ.დანართი #2)

თუ ბოლო წლების სტატისტიკას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ განრიდების პროგრამის გამოყენება აქტუალურია და მისი მაჩვენებელი დაბლა არ იწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული პროგრამა ეფექტურად გამოიყენება სრულწლოვანთა და არასრულწლოვანთა, მდედრობითი თუ მამრობითი სქესის პირთა მიმართ, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, განრიდება და მედიაცია არის სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომელიც პირს საშუალებას აძლევს, თუ მან პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაცვლად, განერიდოს და ჩაებას განრიდება-მედიაციის პროგრამაში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით: „სახელწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს“,[13] რაც იმას ნიშნავს, რომ პირს აქვს უფლება, რაც კონსტიტუციით არის აღიარებული, გამოიყენოს ისეთი აღდგენითი მართლმსაჯულება და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის პროპორციული სასჯელის ზომა მიესაჯოს.

როგორ უნდა გავიგოთ მედიაციის ცნება? მედიაცია ეს არის კონფლიქტის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზა, რომელიც მიმდინარეობს მედიატორის ანუ მიუკერძოებელი მესამე პირის ხელმძღვანელობით. მედიატორის ერთადერი მიზანი არის ხელი შეუწყოს მხარეთა შეათანხმებას კანონიერი და მართლზომიერი გზის საშუალებით.

მედიაცია სისხლის სამართლის საქმეზე განმარტებულია, როგორც პროცესი, რომლის ფარგლებში დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შესაძლებლობა ეძლევათ, თავიანთი სურვილის შემთხვევაში, აქტიური მონაწილეობა მიიღონ

[12] სტატისტიკის შესახებ http://ganrideba.ge (უკანასკნელად ნანახია 28,03,2019. 15:16)

[13]საქართველოს კონსტიტუცია, 1995, მუხ.4 https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

დანაშაულით გამოწვეული საკითხების გადაწყვეტაში დამოუკიდებელი მესამე პირის მეშვეობით.[14]

გ. ცერცვაძის ნაშრომში ვკითხულობთ: „მედიაცია ხშირად მოიაზრება, როგორც „მოსამზადებელი“, საწყისი სტადია. მედიაცია მოლაპარაკების პროცესის მხარდაჭერა და ხელშეწყობაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის სტრუქტურებული მოლაპარაკების პროცესი, რომელიც პროფესიონალი მედიატორის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს.“[15]

მედიაციას, როგრც უკვე ვთქვით, უძღვება დამოუკიდებელი მესამე პირი ანუ მედიატორი. მედიაციის პროცესი მიმდინარეობს დაზარალებულსა და არასრულწლოვანს შორის და და ამ პროცესის მიზანია შეთანხმება დასრულდეს მორიგებით და კონფლიქტის საბოლოოდ გადაჭრით. მედიაციის პროცესში, მედიატორის გარდა, მონაწილეობის უფლება აქვთ: არასრულწლოვანის კანონიერ წარმომადგენელს, პროკურორს, სოციალურ მუშაკს. არის შემთხვევები, როდესაც პროცესში მონაწილეობის უფლება სხვა პირებსაც გააჩნიათ.

ეხლა კი უშუალოდ განვიხილოთ განრიდების ცნება და არსი. „განრიდება არის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლის სამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მიზანია არასრულწლოვნის სათანადო განვითარების და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი დანაშაულის თავიდან არიდება.“[16]

მ. შალიკაშვილის და გ. მიქანაძის სახელმძღვანელოში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ განრიდების შესახებ ვკითხულობთ: „თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, პირველ რიგში, განიხილება განრიდების შესაძლებლობა.“[17] განრიდების უპირელესი ამოცანაა ის, რომ ადამიანს მისცეს გამოსწორების შანსი, რათა იგი დაფიქრდეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათზე და სიმძიმეზე. ეს პროგრამა საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ისეთი შედეგები, როგორიცაა,

[14] მ. ქუთათელაძე, განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, თბ., 2017, გვ. 35
[15] გ. ცერცვაძე, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, თბ., 2010, გვ. 34
[16] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015, მუხ. 3, მე-7 ნაწილი
[17] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, გვ. 93

მაგალითად, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პიროვნების კრიმინალად ჩამოყალიბება, მაშინ, როდესაც შესაძლებელია ამდაგვარი შედეგი სწორედ განრიდება-მედიაციის გზით ავირიდოთ.

ბოლო წლებში აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება მეტად საინტერესო და პოპულარული გახდა ევროპის ქვეყნებში. ეს განპირობებულია 1999 წლის ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის № R (99) 19 რეკომენდაციით, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ მედიაცია, როგორც სერვისი, სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპზე.[18] ამ რეკომენდაციის მიხედვით:

1. ყველა წევრმა სახელწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მედიაციის განხორციელებას სისხლის სამართლის საქმეების იმ დანაშაულებზე, რომლისთვისაც ამ ღონისძიების გამოყენებას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

2. ყველა წევრმა სახელწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ამგვარი მედიაციის მსვლელობისას დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მიღწეული ნებისმიერი შეთანხმება, გათვალისწინებულ იქნეს სისხლის სამართლის პროცესში. ევროსაბჭოს იმავე რეკომენდაციის თანახმად, მედიაცია სისხლის სამართალში მიჩნეულია, როგორც პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული დამატებითი ან ალტერნატიული საშუალება ტრადიციულ სისხლის სამართლის წარმოებასთან ერთად.

განრიდებისა და მედიაციის უპირველესი მიზანია დამნაშავის რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია. აღნიშნული მეთოდი სამართალდამრღვევს საშუალებას აძლევს, გამოასწოროს მის მიერ ჩადენილი დანაშაული და ასევე საშუალებას აძლევს, ეს ყველაფერი მისთვის სასიკეთო გზით გააკეთოს. განრიდება- მედიაციის მოზანს ასევე წარმოადგენს დამნაშავის და დაზარალებულის მორიგება. რა თქმა უნდა, დამნაშავემ უნდა იგრძნოს თავი დამნაშავედ და უნდა გააჩნდეს სურვილი, რომ მის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ჩადენილი დანაშაულის შედეგად მიყენებული ზარალი აანაზღაუროს. რაც მთავარია, განრიდება-მედიაციის მიზანია თავიდან აგვაცილოს დამნაშავის სტიგმატიზაცია რომელიც ხელს უშლის

[18] მ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 37

საზოგადოებაში თავის დამკვიდრებას, ასევე განრიდება-მედიაციის მთავარი მიზანია რაც შეიძლება მცირე დანახარჯები განიცადოს სახელწიფომ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის №120 ბრძანებით, განრიდება-მედიაციის პროგრამის უმთავრესი მიზანია „ხელი შეუწყოს დამნაშავის საზოგადოებაში დაბრუნებას“.[19]

განრიდების და მედიაციის მიზნებმა, შეიძლება ითქვას, გაამართლა და ამის წარმოსაჩენად მინდა ერთი მაგალითი მოვიყვანო. განრიდება „ერთი შანსის“ ერთ წლიანი შედეგი, ასე ჰქვია სტატიას, სადაც მოცემულია ერთწლიანი მონაცემების შედეგი. ამ დროის განმავლობაში 84-მა მოზარდა მოახერხა, თავიდან აეცილებინა ნასამართლობა.

სტატიაში ფსიქოლოგები საუბრობენ კონკრეტულ პიროვნებაზე, თუ როგორ აღმოჩნდა არასრულწლოვანი „გ“ ქურდობის გამო განრიდება-მედიაციის პროგრამაში. ფსიქოლოგების თქმით, მას დაევალა 6 თვის განმავლობაში 6 წიგნის წაკითხვა, თუმცა მან ამ 6 წიგნის გარდა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაც გასწია. უშუალოდ „გ“-ს ინტერვიუში ვკითხულობთ: „ექვსი წიგნი უნდა წამეკითხა და ექვსივე წიგნის შინაარსი ფურცელზე დაწერილი უნდა წარმედგინა სოციალური მუშაკისთვის. წავიკითხე გოჩა მანველიძის „მგლები“. ორი თვის განმავლობაში დავდიოდი სავანეში, მოხუცებთან. მათ მხედველობის პრობლემა ჰქონდათ და საეკლესიო წიგნებს ვუკითხავდი. ამ ექვსმა თვემ დამანახა, რომ ცხოვრება ამით არ სრულდება და ყველაფერი შეიძლება ადამიანმა თავიდან დაიწყოს. რაც მთავარია, ნასამართლობა არ გვეწერება, რაც მთელი ცხოვრების დაღია“[20]

აქვე უნდა აღნიშნოს ის გარემოებაც რომ ამ მიზნების მიუხედავად, თუკი პირი არ შეასრულებს განრიდებით მიცემულ პირობებს მისი საქმე ისევ დაუბრუნდება პროკურორს რათა მის მიმართ ისევ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

---

[19] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01თებერვლის ბრძანება №120 „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდების და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“

[20] რადიო თავისუფლება, ადამიანის უფლებები, ნინო თარხნიშვილი 2012 წლის 11 იანვარი https://www.radiotavisupleba.ge

2.2 განრიდების და მედიაციის პრინციპები

„პრინციპი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სახელმძღვანელო იდეას, რომელსაც ემყარება ადამიანი თავის მოქმედებაში. პრინციპი სხვადასხვა სახის არსებობს: მეცნიერული, ზნეობრივი, იურიდიული, რელიგიური, ფილოსოფიური და სხვა. არ არსებობს ადამიანი პრინციპის გარეშე, მაგრამ საკითხავია ის, თუ რამდენად სწორ პრინციპს ემყარება ადამიანის მოქმედება, რწმენა ფასეულობა და ქცევის წესი.[21]

ეხლა კი უშუალოდ განვიხილოთ განრიდების და მედიაციის პრინციპები. არსებობს ექვსი ძირითადი პრინციპი, რომლებზეც არის დაფუძნებული განრიდება და მედიაცია. ესენია:

1. ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა;
2. ნებაყოფლობითობა;
3. პროპორციულობა;
4. კონფიდენციალურობა;
5. სტიგმატიზაციის დაუშვებლობა;
6. დამნაშავის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება.[22]

ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა

– რაც შეეხება პირველ პრინციპს - „ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა“, თვითონ პრინციპიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის დანაშაულის ჩამდენი პირის ინტერესების დაცვა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, პირველ რიგში, ალტერნატიული სასჯელის დანიშვნა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პირის საქმე მაქსიმალურად ხშირად უნდა გადაისინჯოს, რადგან მივხვდეთ, შესაძლებელია თუ არა, აღნიშნულ პირს, პატიმრობის ნაცვლად, სხვა ალტერნატიული აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება დაენიშნოს.

---

[21] ცოცანიძე გ., ლოლაძე ნ., დათუკაშვილი ქ., ქართული ლექსიკონი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. გვ, 496;

[22] ქუთათელაძე მ., სადისერტაციო ნაშრომი, განრიდება და მედიაცის სისხლის სამართალში, თბ., 2017, გვ. 35.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის პირველი თებერვლის ბრძანებაში „ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა“ შემდეგნაირადაა განმარტებული: „დანაშაულის ჩამდენი პირის ინტერესისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, მაქსიმალურად ხშირად უნდა მოხდეს სისხლისსამართლებრივი დევნისა და საპატიმრო ღონისძიებების ალტერნატივების გამოყენება. თუ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სისხლს სამართლის სისტემიდან მის განრიდებას.“[23]

სიტყვა „განრიდება“ მოცემულ კონტექსტში გულისხმობს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში მოზარდის ისეთი სახით მონაწილეობას, რომელიც მისი ფსიქიკისთვის არ იქნება საზიანო. მოზარდის განრიდების და მედიაციის პროგრამაში მონაწილეობა, რა თქმა უნდა, არის სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესის პირველ საფეხურებთან შეხება, რამაც კანონმდებლის სურვილით არ უნდა გამოიწვიოს არასრულწლოვანი დამნაშავის ზიანი.[24]

გ. ცერცვაძე თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ეს არის საქართველოში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეალობას მორგბული პრინციპი,“[25] რომლის მიზანია გაანეიტრალოს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შედეგად არსებული უარყოფითი შედეგები.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, განრიდება და მედიაცია არის სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ჩაიდენს ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულს და მის მიერ ჩადენილი დანაშაული იქნება პირველად ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

სწორედ ამას ემსახურება პრინციპი „„ალტერნატიული მექანიზმის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა“, რომ პირის მიერ ჩადენილი

[23] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის #120, დანართი, მუხ. 3, პუნქტი „ბ“

[24] მ. შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, გვ. 31

[25] ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2010, გვ. 47

დანაშაულებრივი ქმედება გადასინჯოს მაქსიმალურად და მოხდეს პირის მიმართ ალტერნატიული მექანიზმის გამოყენება, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი ქმედა კანონსაწინააღმდეგო არ იქნება.

ნებაყოფლობითობა- რაც შეეხება მეორე პრინციპს, ეს არის „ნებაყოფლობითობა," რაც ნიშნავს იმას, რომ თუ პირი მისი ნებით იქნება თანახმა, ჩაებას განრიდების და მედიაციის პროგრამაში, მას აქვს უფლება, მაგრამ მისი ნების საწინააღმდეგოდ ეს შეუძლებელია.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის =120 ბრძანების შესაბამისად, განრიდების და მედიაციის პროცესში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, რა დროსაც არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს. დაუშვებელია მხარეებზე ზეგავლენა მათი პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. მხარეები უფლებამოსილი არიან ნებისმიერ ეტაპზე თქვან უარი განრიდების და მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე.[26]

განრიდების და მედიაციის პროცესში მონაწილეობის ნებაყოფლობითობა, რა თქმა უნდა, გულისხმობს მხარეთა მხრიდან სურვილს, რომ მათ ნამდვილად სურთ განრიდება/მედიაციის პროცესში მონაწილეობა და ეს ნამდვილად მათი სურვილია. მათ ასევე უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს უარი თქვან განრიდება/მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია განრიდება/მედიაციის გამოყენებაზე, მედიატორი ვალდებულია გაარკვიოს, ნამდვილად სურთ თუ არა მხარეებს არსებული პროგრამით სარგებლობა და მათი სურვილი ნებაყოფლობითია თუ არა. არ შეიძლება პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, დააძალო განრიდების და მედიაციის პროცესში ჩაებას, რადგან ეს მის ფსიქიკაზე ცუდად იმოქმედებს და ასევე გარიდების და მედიაციის ამოცანები და მიზანი რაც არის, ვერ მიაღწევს დასახულ მიზანს.

---

[26] მ.შალიკაშვილი., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, გვ. 32

დასახული მიზანი ხომ სწორედ დამნაშავე პირის რესოციალიზაცია, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გაანალიზება და შემდგომში გამოსწორებაა, რათა ხელახალი დანაშაული ავირიდოთ თავიდან. სწორედ ამიტომ მისი ნებისაგან დამოუკიდებლად ვერ მივიღებთ იმ შედეგს, რასაც განრიდების და მედიაციის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის პროგრამა ემსახურება.

იურიდიულ ლიტერატურაში ნებაყოფლობითობასთან ერთად დამკვიდრებულია ფაქტიური არანებაყოფლობითობის ცნება. ფაქტიური არანებაყოფლობითობა სახეზეა, როდესაც განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილე ერთი მხარე იმდენად ძლიერია, რომ მას შეუძლია მოლაპარაკების დროს პირობები წაუყენოს მეორე მხარეს.

განრიდების და მედიაციის პროცესში ფაქტიური არანებაყოფლობითობა სახეზე გვექნება, როდესაც პროკურორი მოზარდს მხოლოდ ერთი სახის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მხოლოდ ერთ სავალდებულო საქმიანობას შესთავაზებს და მოზარდს არ ექნება სხვა სამუშაოს შესრულების ალტერნატივა.[27]

აქედან გამომდინარე, თუ ჩვენ არასრულწლოვანს დავაძალებთ რაიმე მოქმედების გაკეთებას ისე, რომ ამის სურვილი მას არ ექნება და არ გამოთქვმს მზადყოფნას, საქმე გვექნება უკვე იძულებასთან და არა ნებაყოფლობითობასთან, რაც კანონსაწინააღმდეგოა. ნებაყოფლობითობა და იძულება თანხვედრაში არ მოდის ერთმანეთთან.

თუ პირს დავაძალებთ, რომ ჩაებას განრიდება/მედიაციის პროცესში, ამით ვერ მივაღწევთ ლეგიტიმურ მიზანს და იმის მაგივრად, რომ მივაღწიოთ მისთვის სასიკეთო შედეგს, გამოვა მხოლოდ მისი უფლებების დარღვევა და სიტყვა „ნებაყოფლობითობაც“ აზრს დაკარგავს.

პროპორციულობა განრიდების და მედიაციის შემდეგი პრინციპი პროპორციულობაა, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია. იუსტიციის მინისტრის =216 ბრძანების მიხედვით, პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის

[27] მ. შალიკაშვილი. არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, გვ. 33

პროპორციული უნდა იყოს მის მიმართ დაკისრებული ვალდებულებები და სასჯელი, ასევე პროპორციულობიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ გავითვალისწინოთ პირის ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა და სხვა.

პროპორციულობის გამოყენებისას პირველ რიგში უნდა დავადგინოთ, რომ:

1. ჩარევა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს;
2. ჩარევა უნდა იყოს ეფექტიანი დადგენილი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად; (აღნიშნული პირობა დაკმაყოფილებულია, როდესაც მიზნის მიღწევა თუნდაც თეორიულად არის შესაძლებელი)
3. ჩარევის ფორმა და ინტენსივობა უნდა იყოს აუცილებელი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;
4. ჩარევა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი.[28]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანაზომიერების პრინციპი „პირდაპირ კავშირშია სამართლებრივი სახელწიფოს პრინციპთან. სწორედ თანაზომიერების პრინციპი ადგენს მატერიალურ მასშტაბებს კანონმდებლისათვის ძირითადი უფლებების შეზღუდვისას. თუ ნორმა ამ პრინციპებს არ შეესაბამება, ის დაუშვებს თვითნებობის შესაძლებლობას. სახელმწიფოს თვითნებობა ადამიანის თავისუფლების სფეროში კი ავტომატურად ნიშნავს ადამიანის ღრსების, როგორც კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას და ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლების არაკონსტიტუციურ ხელყოფას.“[29]

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რამდენად აკმაყოფილებს განრიდების და მედიაციის პირობები პროპორციულობის პრინციპის პირობებს, საჭიროა კონკრეტული საქმის გაანალიზება. რა თქმა უნდა, პროპორციულობის დაცვა აუცილებელია ისევ და ისევ იმისათვის, რომ პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული და მის მიმართ გამოიყენეს ესა თუ ის სადამსჯელო ღონისძიება, არ დარჩეს უსამართლობის და უკმაყოფილების განცდა უშუალოდ სამართალდამცავი ორგანოების და სახელწიფოს მიმართ.

---

[28] ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე. კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2011, გვ. 92-93;

[29] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის =2/1/415 გადაწყვეტილება.

კონფიდენციალურობა - კონფიდენციალურობა ნიშნავს საიდუმლოს, რაც არ უნდა გამჟღავნდეს.[30] საქართველოს იუსტიციის მინისტრის #216 ბრძანების მიხედვით, „განრიდების და მედიაციის პროცესში არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაუშვებელია მისი გამჟღავნება. თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ ან კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული."[31]

კონფიდენციალურობა მნიშვნელოვანი და ზოგადად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დამახასიათებელი პრინციპია.

რადგან კონფიდენციალურობის დაცვა პირველ რიგში ემსახურება იმას, რომ დამნაშავე პირმა საზოგადოებაში კვლავ დაიმკვიდროს თავი, რადგან უმრავლეს შემთხვევაში საზოგადოების მხდიდან დამნაშავის მისამართით არც თუ ისე სახარბიელო დამოკიდებულებაა.

სწორედ ამიტომ, კონფიდენციალურობა გარანტიაა იმის, რომ პირი, რომელიც ჩაიდენს დანაშაულს და რომლის შესახებაც ინფორმაცია კონფიდენციალური იქნება, საზოგადოებაში რესოციალიზაცია ბევრად მარტივი და უმტკივნეულო იქნება. ქერროლინ ჰამილტონის სახელძღვანელოში ვკითხულობთ: „განრიდების ან/და მედიაციის პროცესში დამნაშავე და დაზარალებული პირის შესახებ მხარეების მიერ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა ემსახურება საზოგადოებაში მათ უმტკივნეულო რესოციალიზაციას."[32]

სტიგმატიზაციის დაუშვებლობა – იმისათვის, რომ გავიგოთ, რას ნიშნავს სტიგმატიზაციის დაუშვებლობა, საჭიროა ჯერ განვმარტოთ, რას ნიშნავს სიტყვა „სტიგმატიზაცია". ძველ საბერძნეთში სტიგმა მონის ან დამნაშავის სხეულზე დასმულ დაღს აღნიშნავდა. სტიგმა სოციალური ფენომენია, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში არსებულ ღირებულებასთან.

---

[30] გ. ცოცანიძე, ნ.ლოლაძე, ქ.დათუკიშვილი, ქართული ლექსიკონი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, გვ. 334

[31] მ. შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, გვ. 40

[32] ქერროლინ ჰამილტონი, სახელმძღვანელო დოკუმენტი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011, გვ. 70

სტიგმატიზირება ნიშნავს საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას გარკვეული ჯგუფის პიროვნებების მიმართ, როცა ერიდებიან მათთან ურთიერთობას და მეტიც, უარყოფენ კიდეც, მათ როგორც პიროვნებებს. სტიგმა ბევრად უფრო საშიში ტერმინია, ვიდრე დისკრიმინაცია, რადგან მას საბოლოოდ მთლიანი, სრულყოფილი პიროვნების გაუფასურებასთან მივყავართ.[33]

აქედან გამომდინარე, სწორედ რომ დამნაშავის სტიგმატიზაციის დაუშვებლობაზე შეიძლება ვთქვათ, რომ დაუშვებელია პირის უარყოფა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო. რა თქმა უნდა, სტიგმატიზაცია ართულებს იმას, რომ დამნაშავე პირმა საზოგადოებაში დაიმკვიდროს ადგილი, რაც განაპირობებს მის მიერ ხელმეორედ დანაშაულის ჩადენის რისკს.

გარდა იმისა, რომ შესაძლოა მან ხელმეორედ ჩაიდინოს დანაშაული, შესაძლოა ასევე ხელი შევუშალოთ მის ისეთ საქმიანობას, რაც ქვეყნისთვის და მისთვის კეთილის მომტანი იქნებოდა. არასრულწლოვანმა დამნაშავემ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო ისე უნდა მოიხადოს სასჯელი, რომ მისი მომავალი ცხოვრება ისევ ისეთი იყოს, როგორც დანაშაულის ჩადენამდე და არ უნდა მიადგეს მას ფსიქიკური და ფიზიკური ტკივილი.

ასევე წვდომა უნდა ჰქონდეს მის ოჯახის წევრებთან, რომლებიც მასზე ზრუნავენ, ასევე არ უნდა შეიზღუდოს მისი განათლების ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური განვითარების უფლება.

განრიდების და მედიაციის პროცესში მონაწილე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუციებზეა დამოკიდებული ის, რომ არ მოხდეს მოზარდის დამნაშავედ სტიგმატიზაცია და შემდგომ მის მიერ საკუთარ პიროვნებაში დამნაშავის ძებნა. განრიდების და მედიაციის პროცესში მონაწილე პირების სათუთი და ინდივიდუალური დამოკიდებულება დამნაშავე მოზარდებისადმი უნდა ეყრდნობოდეს მოქალაქეთა პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობას და

[33] სტიგმა და მასთან დაკავშირებული საკითხები-http://intermedia.ge/ (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.03.2019)

ხელს არ უნდა უშლიდეს მოზარდის კრიმინალად სტიგმატიზაციას და მისი კრიმინალური „კარიერის“ ჩამოყალიბებას.[34]

დამნაშავის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება - აღნიშნული პრინციპი განრიდების და მედიაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს. პროკურორის გადაწყვეტილება, რომ განარიდოს არასრულწლოვანი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, პირველ რიგში უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს. რა თქმა უნდა, ასევე უნდა განისაზღვროს ღირს თუ არა არასრულწლოვნის განრიდება და რამდენად შედეგის მომცემი იქნება ეს მისთვის, შეძლებს თუ არა განრიდების და მედიაციის პროგრამაში ჩართვა მის რესოციალიზაცის საზოგადოებაში და ავირიდებთ თუ არა თავიდან დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს.

თავად აღდგენითი მართლმსაჯულება ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის გამოსწორება;
2. დაზარალებულისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება;
3. დანაშაულის მსხვერპლის განკურნება;
4. პასუხისმგებლობის აღება;
5. დამნაშავის მიერ ქცევის გამოსწორება;
6. მოქალაქეების უშუალო მონაწილეობა კრიმინალური დავების გადაწყვეტაში.[35]

ყოველივე ზემოთ აღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, მივდივართ იმ შედეგამდე, რომ არასრულწლოვის საუკეთესო ინტერესები ყველაზე მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია, რადგან დამნაშავემ თავი არ იგრძნოს დაჩაგრულად და საზოგადოებაში დაიმკვიდროს სრულყოფილი ადგილი.

სწორედ ამაში გვეხმარება თუნდაც კონფიდენციალურობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, თუ დამნაშავის შესახებ არსებული ინფორმაცია

---

[34] მ. შალიკაშვილი. არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, გვ. 40

[35] ქუთათელაძე მ., სადისერტაციო ნაშრომი, განრიდება და მედიაიცა სისხლის სამართალში. თბ., 2017, გვ. 40

კონფიდენციალური იქნება, საშუალება ექნება დამნაშავე პირს ისევ ისეთი ადგილი დაიმკვიდროს საზოგადოებაში, როგორც ეს იყო დანაშაულის ჩადენამდე.

2.3 არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროცესი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი“.

ქეროლინ ჰამილტონის სახელძღვანელოში კი არასრულწლოვანი განმარტებულია შემდეგნაირად: „არასრულწლოვანი გამოიყენება იმ ბავშვის აღნიშვნის მიზნით, რომელსაც არ მიუღწევია სრულწლოვანებისათვის. დროთა განმავლობაში ტერმინმა ნეგატიური „კონოტაცია“[36] შეიძინა. ზოგიერთი დოკუმენტი კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს ან არასრულწლოვან დამნაშავეებს უწოდებენ“.[37]

რაც შეეხება ტერმინს „კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები,“ ისევ ქეროლინ ჰამილტონის სახელძღვანელოს დავიხმარ. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები ანუ „თითოეული ის ბავშვი, რომელმაც დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, „კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები“ ეხება 18 წლამდე ასაკის პირებს განურჩევლად იმისა, თუ რა ასაკი ითვლება სრულწლოვანების მიღწევის ასაკად ამა თუ იმ სახელწიფოში.“[38]

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები უმეტესად იმიტომ ჩადიან დანაშაულებრივ ქმედებას, რომ მათი ფსიქო-სოციალური მდგომარეობა

---

[36] „კონოტაცია“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დამატებითი, თანმდევი მნიშვნელობა ენობრივი ერთეულისა. „ერთად და ავღნიშნავ“;

[37] ქ. ჰამილტონი; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელძღვანელო მითითებები, თბ.,2013 გვ. 14;

[38] იქვე, გვ. 13.

განსხვავდება ზრდასრული ადამინისაგან, არასრულწლოვნები ხშირად ხვდებიან კანონთან კონფლიქტში, რადგან მათი გარდატეხის ასაკი და მოზღვავებული აზრები არის დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელი.

ამის მაგალითად შეიძლება მოვიყნანოთ მორის შალიკაშვილის და გივი მიქანაძის სახელძღვანელოში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი“ მოძიებული ინფორმაცია, სადაც ვკითხულობთ: „გარდატეხის პერიოდში საქმე გვაქვს მოზარდის არა მარტო სექსუალურ განვითარებასთან არსებულ პორობლემასთან, არამდე მის სულიერ ღირებულებათა კონფლიქტთან. გარდატეხის პერიოდში, მოზარდის რთული მდგომარეობის გამო, ვსაუბრობთ მის შეზღუდულ შერაცხადობაზე“.[39]

ასევე „გარდამავალ ასაკში მოზარდი უფროსებთან ურთიერთობაში პრიორიტეტული უფლებების მოპოვებას ესწრაფვის და ამიტომ იგი ეწინააღმდეგება მოთხოვნებს, რომლებსაც ადრე ხალისით ასრულებდა. მას სწყინს და პროტესტს აცხადებს, როდესაც მის დამოუკიდებლობას ზღდუდავენ და საერთოდ, როგორც „პატარას“ მიუთითებენ, აკონტროლებენ, სთხოვენ მორჩილებას, სჯიან, ანგარიშს არ უწევენ მის ინტერესებს, ურთიერთობებს, შეხედულებებს და ა.შ.“[40]

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმია, რომელიც დაინერგა 2010 წლის 15 ნოემბერს.

არსებული პროგრამის დანერგვამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია, რაც კარგად აისახა მართლმსაჯულების სისტემაში. კერძოდ, ამ ინსტიტუტის შემოღებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სისხლის სამართლის პოლიტიკის თავისუფალი განვითარების და წინსვლის თვალსაზრისით.

რაც შეეხება სრულწლოვანებს. არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის ჩამოყალიბებიდან თითქმის ერთ წელიწადში, 2011 წლის 25 ოქტომბერს

---

[39] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2011, გვ. 17

[40] საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მესამე გამოცემა, ავტ. კოლექტივი, რედ. ჯ. გახოკიძე , მ. მამნიაშვილი , ი. გაბისონია , გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2015, გვ. 379

ამოქმედდა სრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროექტი. სრულწლოვანთა, ისევე როგორც არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმაა და ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მოქმედებს და ასევე, რა თქმა უნდა, დანაშაული კონკრეტულ პირს პირველად უნდა ჰქონდეს ჩადენილი და წარსულში ნასამართლევი არ უნდა იყოს.

სრულწლოვანთა და არასრულწლოვანთა განრიდენის და მედიაციის ფარგლებში პროკურორია უფლებამოსილი, გამოიყენოს განრიდება და მედიაცია სამართალდამრღვევი პირის თანხმობით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 38-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „პროკურორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და განრიდების გამოყენების თაობაზე“.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „პროკურორის მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით განრიდების გამოსაყენებლად საქმის განხილვისას ან განრიდების გამოყენების შესახებ მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის განხილვისას, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები“. (არასრულწლოვნის საუკეთესო ინეტერესები - არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება).

როდესაც პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ნაცვლად გამოიყენოს განრიდების და მედიაციის პროგრამა, უკავშირდება სოციალურ მუშაკს, რომელსაც გადასცემს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას არასრულწლოვნის საქმესთან დაკავშირებით. სოციალური მუშაკი საქმის შესწავლის შემდეგ განსაზღვრავს არასრულწლოვნის

პიროვნებას, მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტს, თუ რომელი პირობის შესრულება იქნება შედეგის მომცემი არასრულწლოვნის მიერ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ დგება განრიდებსა და მედიაციის ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერს არასრულწლოვანი, მისი მშობელი, სოციალური მუშაკი, პროკურორი და დაზარალებული. ამ ხელშეკრულების შესრულება სავალდებულოა, იმ შემთხვევაში თუ პირი არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, საქმე დაუბრუნდება პროკურორს და მას აქვს უფლება, თავიდან დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

განრიდების და მედიაციისპროცესში მონაწილე პირები – მედიაციის პროცესი ორი ძირითადი ეტაპისგან შედგება: წინასაკონფერენციო ეტაპი და მედიაციის კონფერენცია. წინასაკონფერენციო ეტაპზე მედიატორის ფუნქციაა სპეციალური უნარ-ჩვევებით ხელი შეუწყოს მხარეებს შორის დიალოგის დაწყებას.[41]

მედიაციის პროცესის დაწყებამდე მედიატორი უკავშირდება ორივე მხარეს და მათთან ათანხმებს ყველა პირობას, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ორივე მხარისაგან ნებაყოფლობითობა დაფიქსირდეს ანუ მედიატორის მთავარი ამოცანა და ფუნქციაა, რომ ორივე მხარეს გააცნოს განრიდების და მედიაციის არსი, ამოცანები და მიზნები. იმ შემთხვევაში, თუ თანახმა იქნება მხარე, შედგება მედიაციის პროცესი მედიატორის მეთაურობით.

თავდაპირველად მედიატორი ხვდება არასრულწლოვანს, ხოლო შემდეგ დაზარალებულს. ეს შეხვედრა არის გაცნობითი ხასიათის და მიზნად ისახავს წინასაკონფერენციო შეხვედრის დროისა და ადგილის განსაზღვრას. მედიატორი მხარეებს აწვდის ინფორმაციას მედიაციის არსისა და დანიშნულების შესახებ, განუმარტავს მათ მედიაციის წესს და პროცედურას, მასში მონაწილეობის ნებაყოფლობითობას.[42]

---

[41] მ. შალიკაშვილი; არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, გვ. 71

[42] იქვე, გვ. 73

ასევე მედიატორი მედიაციის პროცესში მონაწილე პირებს განუმარტავს, თუ რა უარყოფითი და დადებითი შედეგები შეიძლება მოიტანოს განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების დადებამ. განრიდების და მედიაციის პროცესში დაზარალებულის მონაწილეობას პროცესის მიმდინარეობისას ბევრი დადებითი მხარე აქვს.

პირველ რიგში, იგი ახერხებს დამნაშავე არასრულწლოვნთან გასაუბრებას და თუ რაიმე კითხვები აქვს, შეუძლია მას დაუსვას და უშუალოდ მისგან მიიღოს ამომწურავი პასუხები. ასევე მას საშუალება აქვს, განსაზღვროს ზიანის ანაზღაურების რაოდენობა.

მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულს უფლება აქვს, მიიღოს მონაწილეობა პროცესში, დასვას კითხვები და ასევე განსაზღვროს ზიანის ანაზღაურება, ამის მიუხედავად, მორის შალიკაშვილის წიგნში ვკითხულობთ, რომ „დაზარალებულს უნდა განემარტოს, რომ მისი უარი მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე ხელს არ უშლის არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოყენებას“.[43]

იმის შემდეგ, რაც მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობებზე, მედიატორი, სოციალურ მუშაკთან და პროკურორთან ერთად, თანხმდებიან კონფერენციის თარიღის დანიშვნაზე, რის შემდეგაც მედიატორი ატყობინებს პროცესში მონაწილე თითეულ მხარეს კონფერენციის გამართვის დროისა და ადგილის შესახებ.

ასევე, მედიატორთან შეთანხმებით მხარეებს უფლება აქვთ, მოიწვიონ საქმეში მონაწილე არაუმეტეს ერთი პირი, რომელთა ვინაობას და საქმეში მონაწილეობის მიზეზს მედიატორი ატყობინებს სოციალურ მუშაკს და პროკურორს. თუ ვერ მოხერხდება შეთანხმება დამატებითი პირის პროცესში მონაწილეობის შესახებ, მაშინ აღნიშნული პირები პროცესში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

ამის შემდეგ მედიატორი ამზადებს წინასაკონფერენციო ანგარიშს, სადაც შეჰყავს ყველა ის მონაცემი, რაც განხორციელდა კონფერენციამდე, მას აწერს ხელს და მიუთითებს საქმეში. თუ მხარები ვერ შეთანხმდებიან განრიდების და მედიაციის

[43] მ. შალიკაშვილი. არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, გვ. 72

ხელშეკრულების პირობებზე, მედიატორი ატყობინებს სოციალურ მუშაკს და პროკურორს, რომლებსაც უფლება აქვთ, შეცვალონ ხელშეკრულების ვალდებულებები და პირობები, რა თქმა უნდა, იმის მიხედვით, თუ რა მინიშნებები და მითითებებიც ჰქონდათ მხარეებს.

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროცეში მონაწილე პირები არიან სპეციალიზებული პერსონალი სრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მათ საქმეს ძალიან დიდი ყურადღება და განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება.

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მონაწილე პირები კი არიან: „მოსამართლე, გამომძიებელი, პროკურორი, პოლიციელი, ადვოკატი, სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პერსონალი, შესაბამისი პატიმრობის დაწესებულების პერსონალი, რომელიც მონაწილეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში და რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“.[44]

„საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების მიხედვით, დაცულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის უფლებები როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე საქმის განხილვის პერიოდში და გამოტანილ უნდა იქნეს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი. ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, აუცილებელი პირობა არის საქმის მწარმოებელ პირთა მიერ მოზარდის ბუნების კარგად ცოდნა და საქმის წარმოების დროს მისი გათვალისწინება“.[45]

მედიაციის პროცესის დასრულების შემდეგ მედიატორი მხარეებს სთხოვს ხელი მოაწერონ ხელშეკრულების პირობებს, რის შემდეგაც ხელშეკრულების

[44] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015, მე-3 მუხლის მე-6 ნაწ.

[45] მ. შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრანქჰურტი, სტრასბურგი, 2016, გვ. 106

შემსრულებელი პირი ასრულებს მის მიმართ დაკისრებულს უფლებებსა და ვალდებულებებს.

სრულწლოვანთა განრიდება-საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168[1] მუხლის მიხედვით, პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ, თუ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი არსებობს.[46]

პროკურორი არ დაიწყებს ან დაწყებულ სისხლისსამართლებრივ დევნას შეწყვეტს იმ შემთხვევაში, თუ პირი უკანონოდ მოპოვებულ ქონებას გადასცემს სახელწიფოს, მის მიერ მიყენებულ ზიანს სრულად აანაზღაურებს ან დანაშაულის იარაღს სახელწიფოს გადასცემს და სხვა.

განრიდების გამოყენება არ შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილია: ადამიანით ვაჭრობა, არასრულწლოვნით ვაჭრობა, ადამიანით ვაჭრობის, მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა, მძევლად ხელში ჩაგდება, წამება, წამების მუქარა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა.[47]

იმ შემთხვევაში, თუ პირი არ შეასრულებს განრიდების პირობებს, პროკურორი უფლებამოსილია განაახლოს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.[48]

პირს, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული, არ შეიძლება განრიდების პროგრამით ისარგებლოს, მაგრამ მას უფლება აქვს, ისარგებლოს განრიდების პროგრამით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ადრე იყო განრიდების სუბიექტი.

სრულწლოვან პირთა მიმართ განრიდების გამოყენება თავდაპირველად მხოლოდ წინასასამართლო სხდომაზე იყო შესაძლებელი. დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობის თანახმად კი „განრიდება შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინასასამართლო სხდომის შემდეგ, თუ მხარეები განრიდების გამოყენების მიზნით სასამართლოს მიმართავენ შუამდგომლობით საქმის პროკურორისათვის

---

[46] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2015, გვ. 487

[47] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბ., 2009, მუხ. 168;[1]

[48] გ. არსოშვილი, გ. მიქანაძე , მ. შალიკაშვილი. პრობაციის სამართალი, თბ., 2015, გვ. 170

დაბრუნების თაობაზე. ამ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც ბრალდებულს შესთავაზებს განრიდებას."[49]

არასრულწლოვანი დამნაშავისაგან განსხვავებით, სრულწლოვან დამნაშავესთან ფორმდება არა ხელშეკრულება, არამედ გარიგება წერილობითი ფორმით. სრულწლოვან დამნაშავეს პროკურორი სთავაზობს განრიდების პირობებს, რომელთა შესრულების შემდეგ პროკურორი უფლებამოსილია მის მიმართ შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოიყენოს განრიდების ღონისძიება.

თუ არასრულწლოვანი დამნაშავე განრიდების შესახებ მის ნებას გამოხატავს განრიდების ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, სრულწლოვანის შემთხვევაში სახეზე გვაქვს იმ პირობების შესრულება, რომელიც განრიდების პროგრამით აქვს შესაძლებელი. ეს პირობებია:

1. უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელწიფოსათვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება;
2. დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა;
3. მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება;
4. სახელწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობა 500 ლარია;
5. საზოგადებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე;
6. ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში - ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა.[50]

თუკი სრულწლოვანი პირი ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს ვერ შეასრულებს, ამ შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია განაახლოს

---

[49] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 168,[2] ნაწ. 4

[50] საქართველოს სისხლის სამართლისსაპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, თბ., 2015, გვ. 487.

სისხლისსამართლებრივი დევნა. მაგრამ თუ მოხდა ისე, რომ სრულწლოვანი პირი თანახმაა შეასრულოს განრიდების პირობები, ამ შეთხვევაში პროკურორი მას წარუდგენს წერილობით ფორმას, სადაც აღნიშნულია განრიდების ადგილი, დრო, პირობები.

ასევე განრიდების სუბიექტ სრულწლოვან პირს წერილობით განემარტება, რომ განრიდება არის ნებაყოფლობითი და სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებით, რომ მას შეუძლია უარი თქვას განრიდებაზე.

სრულწლოვან და არასრულწლოვან პირებს შორის განრიდების დროს ასევე ის განსხვავებაა, რომ სრულწლოვანი პირი, არასრულწლოვანისაგან განსხვავებით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ იხდის ფულად თანხას, არასრულწლოვანი კი - არა. აქედან გამომდინარე, ისევე, როგორც არასრულწლოვანის შემთხვევაში, სრულწლოვანის შემთხვევაშიც განრიდების პროგრამა ერთ მიზანს ემსახურება - მოხდეს პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის გაანალიზება და მონანიება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილების გარანტია, რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და საზოგადოებაში კვლავ საკუთარი ადგილის დამკვიდრება.

მოქმედი კანონომდებლობის თანახმად, განრიდებისას სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირები არათანაბარ პირობებში იმყოფებიან, კერძოდ:

არასრულწლოვნის ნასამართლობა განრიდების გამოყენებისას დამაბრკოლებელი გარემოებაა, მაშინ, როდესაც სრულწლოვანთა განრიდების გამოყენებისას აღნიშნული არ წარმოადგენს პრობლემას;

თუ არასრულწლოვნის მიმართ ადრე იყო გამოყენებული განრიდება, ხელმეორედ მისი გამოყენება დაუშვებელია, სრულწლოვან ბრალდებულთან მიმართებაში კი კანონი ამას უშვებს და არ კრძალავს განრიდების ხელმეორედ გამოყენების საშუალებას;

არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ იგი აღიარებს დანაშაულს. სრულწლოვანთა მიმართ კი ასეთს არ ითვალისწინებს კოდექსი;

არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენებისას აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ არსებობდეს შემდეგი გარემოებების ერთობლიობა:

არასრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული;

არასრულწლოვანი არ არის ნასამართლევი;

არასრულწლოვანს წარსულში არ მიუღია მონაწილეობა განრიდების და მედიაციის პროგრამაში;

არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს;

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და პროკურორის შინაგანი რწმენით არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან უკვე დაწყებული დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი.

ზემოთ აღნიშნული წინაპირობები კი არ არის საჭირო იმისათვის, რომ მოხდეს სრულწლოვანთა განრიდება.[51]

სრულწლოვანთა მიმართ განრიდება არ გამოიყენება ტრეფიკინგის, მძევლად ხელში ჩაგდების, წამების, წამების მუქარის და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი: 143^1 , 143^2, 143^3, 144, 144^1, 144^2, 144^3 მუხ.) დანაშაულთა, აგრეთვე სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით განსაზღვრულ დანაშაულთა საქმეებზე.[52]

რაც შეეხება არასრულწლოვნებს, არასრულწლოვნებზე ასეთი შეზღუდვა არ მოქმედებს არც საპროცესო კოდექსით, არც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით და არც სხვა კანონქვემდებარე აქტებით, რომლებიც არასრულწლოვანთა განრიდებასა და მედიაციას აწესრიგებენ.

სრულწოვანთა განრიდება არ შეიძლება, თუ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული, ხოლო არასრულწლოვანთა მიმართებაში ასეთ შეზღუდვას არ ითვალისწინებს კანონი.

---

[51] გ. ნაჭყებია, საიუბილეო კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, თბ., 2016, გამომც. „მერიდიანი“, გვ. 69.

[52] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მუხ. $168,^1$ ნაწ. 2

სრულწლოვანთა განრიდება შესაძლებელია წინასასამართლო სხდომის შემდეგაც მხარის შუამდგომლობით. არასრულწლოვანთა განრიდება კი შესაძლებელია როგორც მხარის, ასევე სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით.

არასრულწლოვანის განრიდების პროცესში დაუშვებელია მისთვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც მისი ღირსების და პატივის შემლახველი იქნება, მოსწყვეტს მას ნორმალური სასწავლო პროცესისაგან და ძირითადი სამუშაოსაგან, ზიანს მიაყენებს მის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას, მაშინ, როდესაც ასეთი დათქმა სრულწლოვანთა მარეგულირებელ ნორმებში გაწერილი არ არის, თუმცა სრულწლოვანთა განრიდების დროსაც აღნიშნული პირობების დაცვა სავალდებულოა.[53]

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილიდან ირკვევა, რომ არასრულწლოვანი და სრულწლოვანი არათანაბარ პირობებში არიან, თუ კი სრულწლოვან პირს შეუძლია ისარგებლოს განრიდების პროგრამით, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა იგი ნასამართლევი, როგორ შეიძლება არასრულწლოვან პირს მხოლოდ ერთხელ ჰქონდეს ამის საშუალება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული პირველია და ადრე ნასამართლევი არ ყოფილა.

მიგვაჩნია, რომ სრულწლოვან ბრალდებულსაც ისეთივე პირობები უნდა ჰქონდეს განრიდების გამოყენების ეტაპზე, როგორც არასრულწლოვანს, რომ მხოლოდ ერთხელ პირველად ჩადენილი დანაშაულის შემდეგ ჰქონდეს საშუალება, ისარგებლოს განრიდების პროგრამით.

ჩემი აზრით, დაუშვებელია სრულწლოვანი პირი არასრულწლოვანთნ შედარებ უფრო მეტი პრივილეგიით სარგებლობდეს, თუ კი ვამბობთ რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ და არასრულწლოვანი სარგებლობს სხვადასხვა შეღავათებით, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში უფრო ვრცლად არის გაწერილი.

მაშინ ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს სულ სხვა სურათი, სადაც სრულწლოვან პირს, არასრულწლოვანთან შედარებით, განრიდების პროგრამით სარგებლობის

[53] გ. ნაჭყებია., საიუბილეო კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, თბ., 2016, გვ. 70

უფრო სასარგებლო პირობები აქვს. როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ და რაც განრიდების და მედიაციის მიზნებიდან ირკვევა, განრიდება და მედიაცია ემსახურება იმ მიზანს, რომ პირს, რომელიც ჩაიდენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და რომელიც ნასამართლევი არ არის, მისცეს ერთი შანსი, რომ განერიდოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების პროგრამით ისარგებლოს, რასაც განრიდება და მედიაცია ჰქვია, რომელიც საქართველოს ისტორიაში და ქართულ კანონმდებლობაში 2010 წლიდან არსებობს.

განრიდების ღონისძიებები-არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, განრიდების ან და განრიდების და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით შესაძლებელია ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყოს შემდეგი სახის ღონისძიებები:

ა. არასრულწლოვნის წერილობითი გაფრთხილება;

ბ. აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება, მათ შორის განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვა;

გ. მიყენებული ზიანის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება;

დ. უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელწიფოსათვის გადაცემა;

ე. დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსათვის გადაცემა; არასრულწლოვნისთვის მოვალეობის დაკისრება;

ვ. არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად განთავსება.[54]

ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან შესაძლებელია არასრულწლოვანი დამნაშავის მიმართ გამოვიყენოთ ერთი ან რამდენიმე ღონისძიება, რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე. განრიდების ღონისძიებებიდან რომელსაც გამოვიყენებთ დამნაშავე პირის მიმართ, რა თქმა უნდა, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი უნდა იყოს.

[54] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, თბ., 2015, მუხ. 42.

არარულწლოვნის წერილობითი გაფრთხილება ნიშნავს მის მიმართ იმის განმარტებას, თუ რა ზიანი გამოიწვია მის მიერ ჩადენილმა დანაშაულმა. აღდგენითი მართლმსაჯულება კი შეიძლება იყოს როგორც არასრულწლოვნის განრიდება-მედიაციის, ასევე სხვა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის პროგრამაში ჩაბმა, რომელიც მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის და საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალება იქნება.

არასრულწლოვანის მინდობით აღსაზრდელად განთავსება მის მშობლებისაგან მოშორებას გულისხმობს, რომლებიც არასრულწლოვანზე ზეგავლენას ახდენენ და რომელიც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისათვის საფრთხის შემცველია. არასრულწლოვანს შესაძლებელია ავუკრძალოთ: საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, კონკრეტული ადგილის და პიროვნების მონახულება, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლა და ა.შ.

არასრულწლოვანს, აკრძალვისგან განსხვავებით, ასევე შესაძლებელია დაევალოს: განათლების მიღება, მუშაობის დაწყება და ასევე ისეთი მოვალეობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მის ზრდას და განვითარებას და რომელიც მისთვის საუკეთესოს მომტანი იქნება.

დაზარალებული განრიდების და მედიაციის პროცესში-ვიქტიმოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დაზარალებულის (ან დანაშაულის მსხვერპლის) პიროვნებას, მისი მსხვერპლად გახდომის უარყოფით შედეგებს და პრევენციას. დანაშაულის მსხვერპლი დანაშაულის ჩადენის და მისი კონტროლის შესაძლებლობის მნიშვნელოვანი ელემენტია.

დამნაშავეს და დანაშაულის მსხვერპლს ერთმანეთთან ურთიერთობა აქვთ, როგორც სუბიექტს და ობიექტს. დანაშაულის ჩადენის შემდეგ, დამნაშავეა ის, ვინც მსხვერპლს ზიანი მიაყენა, ხოლო მსხვერპლია ის, ვინც ზარალი განიცადა ანუ ზიანი მიადგა. [55]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, დაზარალებული არის „სახელწიფო, ფიზიკური ან იურიდიული

[55] მ. შალიკაშვილი, ვიქტიმოლოგია, მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბ., 2011, გვ. 14

პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად“.[56]

დაზარალებული შეიძლება იყოს საზოგადოება, სახელმწიფო და ორგანიზაცია, რომელსაც ზიანი მიადგა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, დაზიანდა, დაზარალდა ან განადგურდა. დაზარალებულები ასევე შეიძლება იყვნენ დანაშაულის შედეგად დაღუპული პირის ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები.

ამერიკელი კრიმინოლოგის, შეიფერის აზრით, არ არსებობს დანაშაული მსხვერპლის გარეშე. დანაშაულებრივი ქმედებით ან ვიღაც საფრთხეში უნდა ჩავარდეს ან დაზარალდეს ან დაზიანდეს ან განადგურდეს.[57]

განრიდების და მედიაციის მიზანია დაზარალებული მხარის დაკმაყოფილება როგორც მატერიალურად, ასევე ფსიქოლოგიურად. ამ შემთხვევაში დაზარალებულს ეხსნება შიში დანაშაულისადმი და გრძნობს მზრუნველობას სახელწიფოს მხრიდან. მორის შალიკაშვილი თავის ნაშრომში განიხილავს: ერთ-ერთი პროცესის შემდეგ დაზარალებულმა განაცხადა, რომ „მან დაინახა, რომ სახელწიფო მასზედ ზრუნავს და უფრო დაცულად გრძნობს თავს, დავწყნარდი, ვინაიდან ეს დანაშაული დამნაშავემ გააცნობიერა“.[58]

დაზარალებულის როლი განრიდების და მედიაციის პროცესში საკმაოდ დიდია, რადგან დაზარალებულია ის ადამიანი, ვის სასარგებლოდაც უნდა გადაწყდეს რაიმე ქმედება. დამნაშავისა და დაზარალებულის შერიგებას ემსახურება მედიაიცის პროცესი. ქართულ ლექსიკონშიც დაზარალებულის ცნება ესეა განმარტებული: „ვინც ან რაც დაზარალდა.“ [59]

სწორედ ამიტომ, დაზარალებულია ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მიყენებული ზიანი შესაბამისად უნდა აუნაზღაურდეს.

---

[56] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 3, ნაწ. 22

[57] გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 167

[58] მ. შალიკაშვილი., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, გვ. 122

[59] გ. ცოცანიძე, ნ. ლოლაძე, ქ. დათუკაშვილი. ქართული ლექსიკონი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, გვ. 191.

2.4 განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში

იმის შემდეგ, რაც გადაწყდება განრიდების და მედიაციის გამოყენება, პროკურორი, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალურ მუშაკთან ერთად, ადგენს ხელშეკრულებას, რასაც სჭირდება არასრულწლოვნის და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. როდესაც თანხმობას მიიღებს და ხელშეკრულების პირობებიც დადგინდება, არასრულწლოვანი იწყებს მის შესრულებას

განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება არის სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს არასრულწლოვნის უფლება-მოვალეობებს და ზოგიერთი მოქმედების შეზღუდვას. განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებაში სტრუქტურულად მოცემულია განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების მიზნები, მხარეები, ამოცანები და დამატებითი პირობები.

ხელშეკრულების ძირითად ინფორმაციას წარმოადგენს არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაცია, დანაშულის ხარისხი და სახე, დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, ვითარება და დანაშაულის კვალიფიკაცია. ჩვენ ვიცით, რომ განრიდება და მედიაცია შეიძლება გამოვიყენოთ იმ პირის მიმართ, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული და არ ყოფილა ადრე ნასამართლევი.

აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხარისხს და ხასიათს. ხელშეკრულებით განსაზღვრულია არა მარტო არასრულწლოვნის ვალდებულებები და ქცევის განსაზღვრულობა, არამედ მისი მშობლის, მეურვის, რომლებიც ვალდებულებას იღებენ, დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურონ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიენებული ზარალი.

ამ ზარალის აღწერის შესახებ დგება ცალკე დოკუმეტი, თუ რა მოცულობის ზარალი განიცადა დაზარალებულმა და ამ ზარალის ანაზღაურების წესი. რაც შეეხება განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების დამატებით პირობებს - დამატებით პირობებში განსაზღვრულია არასრულწლოვნის და მისი კანონიერი წარმომადგენლის, მშობლის და სოციალური მუშაკის კონკრეტული ვალდებულებები, მათი საქმიანობის წესი და ის, თუ რა როლს ასრულებს პროკურორი განრიდების პროგრამაში.

არასრულწლოვნის მიმართ დაკისრებული მოვალეობა და მის მიმართ შეზღუდული რაიმე მოქმედება და ქცევის წესი მის მიერ ჩადენილი დანაშაულის პროპორციული უნდა იყოს და უნდა შეესაბამებოდეს არასრულწლოვნის ასაკს. დაუშვებელია იმაზე მკაცრი სასჯელის დანიშვნა, ვიდრე არასრულწლოვნის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის არის გათვალისწინებული.

რაც შეეხება ხელშეკრულების დასკვნით პირობებს, ამ ნაწილში განსაზღვრული უნდა იყოს მისი მოქმედების ვადა, თუ რამდენი ხნით გამოიყენება განრიდება- მედიაციის პროგრამა. განრიდების შესახებ ხელშეკრულების მაქსიმალური ვადაა ერთი წელი, თუმცა, შესაძლოა გაფორმდეს ნაკლები ვადითაც.

ხელშეკრულება ამოქმედდება ყველა მონაწილე მხარის მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან. მასში ძირითადი ცვლილებებისა და დამატებების შეტანაც ასევე მხოლოდ ძირითადი მხარის წერილობითი თანხმობით არის შესაძლებელი. ამ შემთხვევაში ძირითად მხარეებს განეკუთვნებიან: არასრულწლოვანი, მისი მშობელი (კანონიერი წარმომადგენლები) პროკურორი და სოციალური მუშაკი.[60]

ინდივიდუალურ შეფასების ანგარიშის საფუველზე პროკურორი სოციალურ მუშაკთან და მედიაციის შემთხვევაში მედიატორთან ერთად განსაზღვრავს ხელშეკრულების პირობებს. პირობების ჩამოყალიბებისას პრკურორი, სოციალური მუშაკი და მედიატორი ითვალისწინებენ არასრულწლოვნის და დაზარალებულის ინტერესებს.[61]

განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს:

- ხელშეკრულების მოქმედების ვადა;
- ხელშეკრულების შედგენის დრო და ადგილი;
- ხელშეკრულების პირობების შესრულების ადგილი (მუნიციპალიტეტი);
- პროგრამაში მონაწილე პირთა მონაცემები;
- მითითება იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს;
- განრიდების ღონისძიების სახე და სხვა პირობები;
- ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები და ხელშეკრულების შეწყვეტისა და შეჩერების საფუძვლები.[62]

---

[60] მ. შალიკაშვილი, არასრულწლოვნთა განრიდების და მედიაციის სისხლის სამართლერივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, გვ. 65;

[61] მ. ქუთათელაძე, სადისერტაციო ნაშრომი, განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, თბ., 2017, გვ. 144.

[62] მ. ქუთათელაძე, სადისერტაციო ნაშრომი, განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, თბ., 2017, გვ. 144.

ზემოთ ჩამოთვლილი პირობების გარდა, ასევე შესაძლებელია სხვა პირობების განსაზღვრაც. ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები.

მისი პირობები განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. ამ ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადა ერთი წელია.[63] ამ დროის განმავლობაში სოციალური მუშაკი პროკურორს აწვდის ინფორმაციას არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების შესრულების შესახებ. ეს უნდა მოხდეს თვეში ერთხელ მაინც.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები არასრულწლოვანმა კეთილსინდისიერად შეასრულა, აღნიშნული ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ პროკურორი დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას, იმ პირის სისხლის სამართლის საქმეზე შეწყვიტოს გამოძიება.

რაც შეეხება ხელშეკრულების შესრულების, მას ახორციელებს სოციალური მუშაკი, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ყოველთვიურად. საჭიროების შემთხვევაში სოციალური მუშაკი, ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს უფრო ინტენსიურად ახორციელებს საჭიროებიდან გამომდინარე. არასრულწლოვნის მონიტორინგს მისი სურვილის შემთხვევაში შესაძლოა დაესწროს მისი კანონიერი წარმომადგენელი.

არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობის შეუსრულებლობის შემეთხვევაში არასრულწლოვანი და სოციალური მუშაკი ერთად განიხილავენ ხელის შემშლელ ფაქტორებს და მათ ხარისხს, ასევე შესაძლებელია არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობას ობიექტური მიზეზები ჰქონდეს, რაც შესაძლებელია პირობების შესწორების გზით მოხერხდეს.[64]

---

[63] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, თბ., 2015 მუხ 39, მე-3 ნაწილი.https://matsne.gov.ge

[64] განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი. დანართი =1 მუხ. 4.

მას შემდეგ, რაც ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი დასრულდება, სოციალური მუშაკი პროკურორს წარუდგენს ანგარიშს, რომელშიც მითითებული უნდა ჰქონდეს, თუ რამდენად შედეგიანი აღმოჩნდა განრიდების და მედიაციის პროგრამა და აღმოიფხვრა თუ არა კვლავ დანაშაულის შესაძლო ჩადენის რისკი.

2014 წლის ნოემბრამდე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული წარმოადგენდა ნაკლებად მძიმე დანაშაულს. 2014 წლის 11 ნოემრიდან კი პროგრამა გავრცელდა მძიმე კატეგორიის დანაშაულებზეც. აღნიშნული ცვლილებებით შეიცვალა და დაიხვეწა 2010 წლიდან პროგრამის პრაქტიკაში გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზები და სხვადახვა პროცედურული საკითხებიც. მათ შორის დაწესდა პროგრამაში მომუშავე პროფესიონალთათვის სამუშაო ვადები.

ასევე, თუ წინათ მედიაციის შესახებ დაზარალებულს ინფორმაციას პროკურორი აწვდიდა და მხოლოდ დაზარალებულის მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში ერთვებოდა მედიატორი, დღეისათვის იგი პროცესში პროკურორის მიერ განრიდების გადაწყვეტილების მიღებისთანავე ერთვება, რაც ზრდის მედიაციით დასრულებული საქმეების რაოდენობას. შესაბამისად, ამცირებს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებულსა და განრიდებულს შორის წარმოშობილი კონფლიქტების რაოდენობას და ზრდის კმაყოფილ დაზარალებულთა რიცხვს.[65]

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს, რამდენად ხორციელდება მონიტორინგი, ამისათვის მაგალითად მოვიყვან სტატისტიკურ მონაცემებს, თუ რამდენი არასრულწლოვნის მიერ იქნა დარღვეული ხელშეკრულების პირობები 2016-2017 წლებში:

2016 წელს დაფიქსირდა განრიდების ხელშეკრულების დარღვევის 18 შემთხვევა, აქედან 5-მა ჩაიდინა ახალი დანაშაული, ხოლო დანარჩენმა 13-მა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. განრიდების პროცესი

[65] მ. ქუთათელაძე, სადისერტაციო ნაშრომი-განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, თბ., 2017, გვ. 155.

შეწყდა 6 შემთხვევაში, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში გაგრძელდა ვადა. რაც შეეხება 2017 წელს, დაფიქსირდა განრიდების ხელშეკრულების დარღვევის 13 შემთხვევა, აქედან 4-მა ჩაიდინა ახალი დანაშაული, ხოლო 9-მ არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, განრიდების პროცესი შეწყდა 5 შემთხვევაში, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში გაგრძელდა ვადა.[66]

ინდივიდუალური შეფასების ანგარიში - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა, არასრულწოვნისთვის რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია გავითვალისწინოთ მისი ინდივიდუალური მახასიათებლები, რადგან ყველა ადამიანს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება, მათი ხასიათის ასაკის ოჯახური მდომარეობის თუ ფსიქო-სოციალური კუთხით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ინდივიდუალურ შეფასების ანგარიშში აისახება ის ღონისძიებები, რაც საჭიროა მისი ოჯახური მდგომარეობის, განათლების ჯანმრთელობის და სხვადახვა გარემოებების დასადგენად.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის შემდეგ სტადიებზე:

- ✓ განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას;
- ✓ სასჯელის დანიშვნისას;
- ✓ საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას;
- ✓ არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას;
- ✓ პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას.[67]

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ამზადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

[66] განრიდების ხელშეკრულების შესახებ :http://pog.gov.ge (უკანასკნეკად ნანახია: 28.03.2019, 16:58)
[67]არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, თბ: 2015, მუხ. 27, ნაწ. 4.

შემდეგ შემთხვევებში: განრიდების ღონისძიების გამსაზღვრისას, სასჯელის დანიშვნისას და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას. ხოლო საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას და არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ამზადებს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური დაწესებულება.[68]

ინდივიდუალური შეფასების მომზადებისას გასათვალისწინებელია შემდეგი პრინციპები და სტანდარტები:

1. ობიექტურობა - ანგარიშში ასახული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა იყოს ობიექტური, მიკერძოების გარეშე;
2. კონფიდენციალურობა-ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისას მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაუშვებელია მისი გამჟღავნება, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ ან კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
3. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება-ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი. კერძოდ უნდა შეფასდეს თუ რა შედეგს მოიტანს არასრულწლოვნისთვის მისი პროგრამაში ჩართვა, როგორია დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი და ა.შ.[69]

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება საჭიროა იმისთვის, რომ კონკრეტული პირის მიმართ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხარისხზე დაყრდნობით შეადგინონ განრიდების ხელშეკრულების პირობების ნუსხა, რაც შემდგომში ისევ და ისევ არასრულწლოვნს რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისათვის ერთ-ერთი განმაპირობებელი ნიშანია.

ინდივიდუალური ანგარიშის შეფასება, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ხორციელდება არასრულწლოვანთან და მის ირგვლივ მყოფ ახლო ადამინებთან

---

[68] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, თბ: 2015, მუხ. 27, ნაწ. 4^1, 12

[69] განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია წესი და სტანდარტი, დანართი =1, მუხ. 2.

ერთად. ანტონ ქელბაქიანის და ნატალია ცაგარელის სახელმძღვანელოში „არასრულწლოვნების განრიდების და განრიდება-მედიაციის პროგრამის კვლევა საქართველოში“ ავტორებს მოყვანილი აქვთ ზოგიერთი მოსამართლის და პროკურორის მოსაზრება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ირგვლის. მაგალითად: ერთ-ერთი მოსამართლის განმარტებით, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში ბევრ სფეროს მოიცავს, მაგრამ არის მაინც სუბიექტური, ხოლო ერთ-ერთი პროკურორის აზრით: „ჩვენ ვეცნობით დეტალურად ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, სახელშეკრულებო პირობებს ვამზადებთ ერთობლივად, საქმეში ერთვება როგორც სოციალური მუშაკი, ასევე პროკურორი და მედიატორი“.[70]

[70] ა. ქელბაქიანი, ნ. ცაგარელი. არასრულწლოვანთა განრიდების და განრიდება-მედიაციის პროგრამის კვლევა საქართველოში, თბ., 2018, გვ. 55.

2.5 განრიდების და მედიაციის, როგორც ალტერნატიული მართლმსაჯულების ფორმა გერმანიაში

სანამ უშუალოდ შევეხებით გერმანიის ალტერნატიული მართლმსაჯულების ფორმებს, მანამდე მინდა ორი სიტყვით განვიხილო უშუალოდ გერმანიის სისხლის სამართლის პროცესის ცნება და ამოცანები. გუცენკოს, გოლოვკოს და ფილიმინოვის სახელმძღვანელოში „დასავლეთის სახელწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი“ გერმანიის სისხლის სამართლის პროცესის ცნება თავდაპირველად განიხილებოდა, როგორც საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა.

ასეთმა გაგებამ დიდი გავლენა მოახდინა ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების ფორმირებაზე. ლიბერალისტულ-დემოკრატიული სისხლის სამართლის პროცესის მოდელი დარჩა ცალკეული გერმანელი პროცესუალისტების მხოლოდ თეორიულ გამოკვლევად, რადგან ვერ განმტკიცდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონში.[71]

მედიაციის საკითხებით გერმანიაში აქტიურად 80-იან წლებში დაინტერესდნენ, რასაც საფუძვლად დადებითი ამერიკული გამოცდილება დაედო. აღნიშნულ ფონზე აქტიური დისკუსია გაჩაღდა სადამსჯელო პოლიტიკისა და ალტერნატიული სანქციების, განსაკუთრებით მედიაციასთან დაკავშირებული ინსტრუმენტების გამოყენების ირგვლივ.

მედიაციის, როგორც კონფლიქტების ნებისმიერი სახეობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალების პოპულარობამ 90-იან წლებში მნიშვნელოვნად იმატა. გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გარკვეულ პირობებში

[71] კ. გუცენკო, ლ. გოლოვკო , ბ. ფილიმონოვი., დასავლეთის სახელწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, გვ. 496

კანონი უშვებს, რომ თუ დამნაშავე მსხვერპლს ზარალს აუნაზღაურებს, ეს მის მიმართ პრობაციის გამოყენების ერთერთ პირობად განიხილონ.[72]

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მრავალ საფუძველს, რომელთა მიხედვითაც პროკურატურას უფლება აქვს უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე და შეწყვიტოს საქმე. საქართველოს მსგავსად გერმანიაში აღნიშნული კატეგორიის საქმეები, რომლებზეც პროკურორს უფლება აქვს შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუნდაც მედიაციის გამოყენების მიზნით, არ არის მხოლოდ ნაკლებად მძმე კატეგორიის საქმეები.

სისხლის სამართლის პროცესში სხვადასხვა სახის სამომრიგებლო ან საშუამავლო ინსტიტუტების შემოღების საყოველთაო ევროპული ტენდენციები გერმანიასაც შეეხო.[73] აღსანიშნავია, რომ გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში მოკვლევა სრულდება არა საჯარო ბრალდების აღძვრით ანუ საქმის არა სასამართლოსათვის გადაცემით, არამედ საქმის შეწყვეტით. აღძრულ საქმეთაგან დაახლოებით 60% წყდება პროცესის ამ ეტაპზე, უმეტესობა კი მედიაციით სრულდება. გერმანიაში მედიაციას ეწოდება „სამართალდამრღვევისა და დაზარალებულის შერიგება.“[74]

რესოციალიზაცია არასრულწლოვნებთან მიართებით გერმანული სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილია. დამნაშავისა და მსხვერპლის შერიგებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება. იუვენილურ იუსტიციაში რესტიტუცია [75]ჯერ კიდევ 1923 წელს იწნა წამოდგენილი, როგორც სპეციალური ვალდებულება, თუმცა ეს გულისხმობდა ახალგაზრდა დამნაშავის მიერ ჩადენილი აქტის უსამართლობის აღიარებისა დანეგატიური შედეგების გაცობიერებას. დამნაშავისა და მსხვერპლის შერიგება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში ოფიციალურად 1994 წელს აისახა. კოდექსის

---

[72] ჰ. კური, ა. კულმანი. „მედიაცია გერმანიასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში,“ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, სამართალი#3, თბ., 2014, გვ. 98

[73] მ. ქუთათელაძე, სადისერტაციო ნაშრომი, განრიდება და მედიაცია სიხლის სამართალში, თბ., 2017, გვ. 52;

[74] keidelberg K.H., fragen undo antworten zum jugendstrafrecht laubenthal, berlin 2006. S. 26

[75] “რესტიტუცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამართლის დარგი, რომელიც არეგულირებს, თუ როგორ უნდა მიიღს პირმა უკანონოდ დაკარგული ქინება ან მისი საზღაური.“

მიხედვით, მოსამართლეს შეუძლია, რომ არასრულწლოვან დამნაშავეს შესთვაზოს მსხვერპლთან შერიგება.[76]

გერმანიაში მედიაციას სისხლის სამართლის საქმეებზე ეწოდება „Täter –Opfer Ausgleich“ (TOA). TOA აღდგენითი მართლმსაჯულებისა და დაზარალებულისა და სამართალდამრღვევის მედიაციის აღმნიშვნელი ნახევრად ოფიციალური გერმანული ტერმინია. 1990 წელს TOA შემოიღეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, როგორც არასრუწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების განმხილველი სასამართლოს შესახებ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიება და 45-ე და 47-ე მუხლით გათვალისწინებული საქმეების განრიდების შესაძლებლობა.

პროკურატურას და სასამართლოს უფლება არ აქვს, ვინმეს თავზე მოახვიოს TOA, რადგან ეს მხოლოდ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის განხილვისას განისაზღვრება.[77] რამოდენიმე წლის შემდეგ არასრულწლოვნების მსაგავსად TOA გავრცელდა ასევე სრულწლოვან პირებზეც. რის შემდეგაც გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პროკურორს და მოსამართლეს ვალდებულს ხდის, რომ სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე შეამოწმონ, საჭირო არის თუ არა TOA -ს გამოყენება.

გერმანიაში მედიაციის სწავლება სიღრმისეულია, თეორიაზეა დაფუძნებული, ასევე მედიაციის ფედერალურმა ასოციაციამ შეიმუშავა ეთიკის კოდექსი მედიატორებისთვის, ასევე გაიმართა დისკუსია იმის თაობაძე უნდა იყოს თუ არა მედიატორი იურისტი.

პირველად ასოციაციამ გამოაქვეყნა დასკვა, რომ არ იყო დოგმა, აუცილებლად იურისტი ყოფილიყო მედიატორი და შესაძლებლობა ჰქონდა სხვა პროფესიის ადამიანებსაც ისევე როგორც იურისტებს შეეთავსებიათ მედიატორის პოზიცია. 2008 წელს გერმანიის კნონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, იმ პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ იურიდიული გაათლება,

---

[76] ჰ. კური, ა. კულმანი. „მედიაცია გერმანიასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში.“ გ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, სამართლი #3, თბ., 2014, გვ. 100.

[77] მ. ქუთათელაძე, სადისერტაციო ნაშრომი „განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში“, თბ., 2017, გვ. 53

შესაძებლობა აქვთ იურიდიული დახმარება გაუწიონ გარკვეულ ვითარებაში კონკრეტულ პირებს.[78]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, სადაც განრიდება-მედიაცია პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა, გერმანიაში პროკურორმა და მოსამართლემ ერთობლივად უნდა იმსჯელონ, არის თუ არა საჭირო კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყენონ ალტერნატიული მართლმსაჯულების ინსტიტუტი.

ასევე, გერმანიასა და საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში არ მოდის ერთმანეთთან იმ კონტექსტში, რომ თუ საქართველოს კანონმდებლობა განრიდების გამოყენებას უშვებს მხოლოდ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულთა კატეგორიის ჩადენის შემთხვევაში გერმანიის კანონმდებლობით კი გათვალისწინებულია ზოგადად ყველა დანაშაული, კონკრეტული დანაშაული არ არსებობს.

მისი გამოყენება შიძლება დანაშაულებრივი ქმედების ნებისმიერ კატეგორიაზე, იქნება ეს ნაკლებად მძიმე, მძიმე თუ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ასევე განსხვავებას წარმოადგენს გერმანიასა და საქართველოს კანონმდებლობას შორის ის ფაქტი, რომ გერმანიაში მედიაციის პროცესში მონაწილეობა უფრო პრიორიტეტულია სრულწლოვან პირებზე, მაშინ, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168[1] [79] მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ განრიდებას და არა მედიაციას სრულწლოვან პირებზე, ხოლო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, მედიაცია არის არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი. [80]

და ბოლოს, თუ საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-10 ნაწილის

---

[78] „Victim-offender-mediation in germany" https://mafiadoc.com/(28/03/2019. 15:59)

[79] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ.,2009, მუხ. 168;[1]

[80] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, თბ., 2015, მ. 3, ნაწ. 9;

თანახმად, მედიატორი არის „სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი,“[81] გერმანიაში ნებისმიერი პროფესიის პირს შეუძლია გასწიოს იურიდიული დახმარება და წარმართოს პროცესი.

როგორც ვხედავთ, ამ ორ ქვეყანას შორის არსებობს ძალიან ბევრი განსხვავება. საქართველოსაგან განსახვავებით, რომელიც მიზანმიმართულია მხოლოდ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულთა კატეგორიაზე, გამოიყენეს ალტერნატიული მექანიზმი. გერმანიაში რაც უფრო მძიმეა დანაშაული, მით უფრო საჭიროა, რომ გამოიყენონ ალტერნატიული მართლმსაჯულების ღონისძიება, კერძოდ მედიაცია.

თავი III. კვლევის შედეგები

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოს კანონმდებლობა ნამდვილად შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, როგორი კარგიც არ უნდა იყოს ესა თუ ის პროგრამა, მას მაინც დახვეწა და სრულყოფა სჭირდება.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ „განრიდების და მედიაციის“ მიზანი და ამოცანაა, პირი განარიდოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისცეს მას ერთი შანსი, თუ ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დანაშაული და ადრე არ ყოფილა ნასამართლევი.

ამით საზოგადოების დიდი ნაწილი, კონკრეტულად, ის პირი, ვინც ჩადის დანაშაულს, იღებს სარგებელს და ეს მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მათ ეძლევათ საშუალება, დაფიქრდნენ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულზე, გაანალიზონ და მიხვდნენ, რა ზიანი მოუტანა საზოგადოებას მათმა ქმედებამ, რა შედეგი შეიძლება მოიტანოს დანაშაულის კვლავ ჩადენამ.

[81] იქვე, მუხ. 3, ნაწ. 10.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ დღესდღეობით ქართულ კანონმდებლობაში ეს საკითხი მეტად აქტუალურია. არასრულწლოვანი პირის მიმართ, რომელიც ჩაიდენს ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულს, პირველ რიგში განიხილება განრიდების ღონისძიება, რომელიც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა.

იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაული აღემატება საზოგადოებრივ ინტერესს, ამ შემთხვევაში არ გამოიყენება აღნიშნული ღონისძიება და პირი მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის აგებს პასუხს, რა თქმა უნდა, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის პროპორციულად.

არასრუწლოვნებისგან განსხვავებით, სხვა სურათი გვაქვს სრულწლოვანთა განრიდებასთან მიმართებაში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თუ არასრულწოვანი პირის მიმართ განრიდება და მედიაცია გამოიყენება, სრულწლოვანი პირის მიმართ შესაძლოა მხოლოდ განრიდების პროგრამაში ჩართვა. ასევე, თუ არასრუწლოვანი პირი პირველად ჩაიდენს ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულს და იგი ადრე არ ყოფილა ნასამართლევი, მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოიყენება მის მიმართ განრიდება-მედიაცია.

ასევე გვერდს ვერ ავუვლით განრიდების და მედიაციის პრინციპებს, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი და ფუნდამეტური საკითხია. ჩემს მიერ გამოკვლეული მასალების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ღონისძიება არის ნებაყოფლობითი, რა დროსაც პირი აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ პირი განრიდების პროგრამაში ჩართვაზე უარს განაცხადებს, დაუშვებელია მისი ნების გარეშე პროგრამაში ჩართვა.

ასევე, ეს არის კონფიდენციალური, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ინფორმაცია, რომელიც იქნა მიღებული, არ უნდა გამჟღავნდეს, თუ შეთანხმებით სხვა რამ არაა განსაზღვრული. კონკრეტულად, აღნიშნული პრინციპი დამახასიათებელია არასრულწლოვნების მართლმსაჯულების განსაზღვრისას, მაშინ, როდესაც ზოგადად სასამართლო პროცესი საჯაროა, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არაა განსაზღვრული. არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესი ყოველთვის დახურულ სხდომაზე მიმდინარეობს.

რაც შეეხება პროპორციულობას - პირი, რომელიც ჩაიდენს დანაშაულს, მის მიმართ სასჯელიც პროპორციული უნდა იყოს. ზოგადად, უნდა გავითვალისწინოთ დამნაშავის ჭეშმარიტი ინტერესი და არ უნდა დავუშვათ მისი სტიგმატიზაცია.

კვლევის სუბიექტს ასევე წარმოადგენდა დაზარალებული. დაზარალებული არის ის, ვისაც ზიანი მიადგა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, რომელიც შეიძლება იყოს ფიზიკური თუ იურიდიული პირი, ასევე დაზარალებულად უნდა ჩავთვალოთ და ის პირებიც, რომლებიც დანაშაულის შედეგად დაღუპულის ოჯახის წევრები არიან. რა თქმა უნდა, განრიდების და მედიაციის ერთ-ერთი მიზანია, დაზარალებულს შეძლებისდაგვარად აუნაზღაურდეს მორალური თუ მატერიალური ზიანი.

საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით, გერმანიის კანონმდებლობა ცოტა განსხვავებულია. თუ საქართველოს რეალობაში განრიდების შეთავაზება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა, გერმანიაში პროკურორი და მოსამართლე ერთად მსჯელობენ და გადაწყვეტილებას იღებენ, უნდა გამოიყენონ თუ არა განრიდების პროგრამა.

ასევე მნიშვნელოვანი განსხვავება გამოიკვეთა კვლევის შედეგად. თუ საქართველოს კანონმდებლობაში მოცემულია, რომ განრიდების შეთავაზება შესაძლებელია ნაკლებად მძიმე ან მძმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, გერმანიაში ამ ორი კატეგორიის დანაშაულთან ერთად განიხილება მესამე, ყველაზე მძიმე კატეგორია, რომელიც გახლავთ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. მეტიც, რაც უფრო მძიმეა დანაშაული, მით უფრო გამოიყენება განრიდების და მედიაციის პროგრამა.

კვლევის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ „განრიდება და მედიაცია“ დღესდღეობით ერთ-ერთი საკმაოდ განვითარებადი პროგრამაა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, რომელსაც დახვეწა და საკანონმდებლო დონეზე სრულყოფა სჭირდება. განრიდება და მედიაცია არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს მრავალი წამყვანი ქვეყნის მონაპოვარია.

დასკვნა

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში შევეცადეთ ამომწურავი ინფორმაცია მოგვეძიებია, რომელიც ცხადყოფდა და ნათელს მოჰფენდა ზოგადად იმ საკითხს, თუ რას წამოადგენს ქართულ კანონმდებლობაში განრიდება და მედიაცია, არის თუ არა ეფექტური, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია, როგორია საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული რეალობა (ამ შემთხვევაში, გერმანულ კანონმდებლობაში) და აქვს თუ არა მომავალში კიდევ უფრო განვითარების და სრულყოფის პერსპექტივა.

იმისათვის, რომ ზემოთ აღნიშნული საკითხებზე პასუხი გაგვეცა, აუცილებელი გახდა შეგვესწავლა ისეთ საკითხები, როგორიცაა: განრიდების და მედიაციის ისტორია, ცნება, მიზნები, ამოცანები, განრიდების ღონისძიებები, განრიდების

ხელშეკრულება, არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია, სრულწლოვანთა მედიაცია, განრდიება და მედიაცია გერმანულ კანონმდებლობაში და ა.შ

განრიდებას და მედიაციას ბევრი დადებითი მხარე გააჩნია, არის მოქნილი და ეფექტული რომელიც ხელს უწყობს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდებას და მისთვის ერთი შანსის მიცემას რომელიც დანაშაულის ჩამდენი პირისთვის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების გარანტია. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს ესე არ ხდება, ბევრი შემეთხვევა ყოფილა (რომელზეც ძირითად ნაწილში უკვე ვისაუბრეთ), რომ პირს, განრიდების ხელშეკრულების შესრულების დამთავრებამდეც კი ჩაუდენია დანაშაული.

ალბათ ყველა ადამიანს გაუჩნდება ლოგიკური კითხვა, რას ნიშნავს აღნიშნული? ნუთუ პროგრამა მიზანს ვერ ემსახურება? მაგრამ ეს ხომ ყველა შემთხვევაში არ გვაქვს სახეზე. არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომლებიც წრფელი გულით ინანიებენ მათ მიერ ჩადენ დანაშაულს და ერთი შანსის პროგრამა მათ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას უწყობს ხელს, უმეტეს შემთხვევაში აცნობიერებენ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს და იმას, თუ რა შედეგის მომტანი იქნება მათ მიერ დანაშაულის ხელახალი ჩადენა.

გარემოება, რომელიც ყველაზე მოსაფრთხილებელია, გახლავთ „დაზარალებული," რომელიც დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლია. რა კეთდება იმისათვის, რომ დაზარალებულმა თავი დაცულად იგრძნოს? ალბათ ესეც ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც საკანონმდებლო დონეზეა მოსაგვარებელი, რადგან იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურორი გადაწყვეტს, პირის მიმართ გამოიყენოს განრიდების ღონისძიება მისი თანხმობით და თუ რა თქმა უნდა, მის მიერ ჩადენილი დანაშაული არ აღემატება საზოგადოდ აღიარებულ ინტერესს, ხდება პირისათვის განრიდების ღნისძიების გამოყენება, რომელიც ეცნობება დაზარალებულს. თუმცაღა, მას იმის საშუალებაც კი არ აქვს, რომ ამ გადაწყვეტილებას შეეწინააღმდეგოს. ამით შესაძლოა დაზარალებულის ცნობიერებაში გამოიწვიოს მორალური და ფსიქიკური ზიანიც და

ნდობა აღარ გამოუცხადოს სამართალდამცავ ორგანოებს, რადგან გაუჩნდეს დაუსჯელობის სინდრომის განცდა.

ასევე, ჩემი აზრით, ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს სრულწლოვანთა და არასრულწლოვნათა განრიდების ღონისძიების გამოყენების პირობები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, ასევე საქართველის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, განრიდება გამოიყენება ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულთა კატეგორიის დროს, თუ დამნაშავე პირი ადრე ნასამართლევი არ ყოფილა.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემასთან ერთად, უდავოა, რომ განრიდება და მედიაცია, როგორც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, ასევე საქართველოშიც დიდი პოპულარულობით სარგებლობს. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, კერძოდ გერმანულ სისხლის სამართალს, განრიდება და მედიაცია ქართული სისხლის სამართლისგან განსხვავებულია, რადგან გერმანიაში განრიდების და მედიაციის გამოყენებისთვის დანაშაულის კატეგორიას მნიშვნელობა არ აქვს, პირიქით რაც უფრო მძიმეა დანაშაული მით უფრო ხშირად მიმართავენ აღნიშნულ პროგრამას, საქართველოს რეალობაში კი ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულთან გვაქვს საქმე.

„განრიდების და მედიაციის“ როლი ქართულ კანონმდებლობაში დიდია, რადგან უამრავი ადამიანმა დააღწია თავი სასჯელაღსრულების დაწესებულებას. ეს მართლაც რომ უკიდურესი სასჯელის ზომაა. სწორედ ამიტომ, როდესაც საქმე არასრულწლოვნებს ეხება, მათ მიმართ, პირველ რიგში განიხილება განრიდების ღონისძიება, პატიმრობა კი ყველაზე უკიდურესი ფორმაა.

„დასჯა გამოსავალი არ არის“- ეს ყველაზე გამართლებული მოსაზრებაა, რადგან ყველა შემთხვევაში დასჯა როდია გამოსავალი. პირიქით, შეასძლოა დასჯამ სავალალო შედეგამდეც კი მიგვიყვანოს და პირი, რომელმაც პირველად ჩაიდინა დანაშაული (ამ შემთხვევაში არასრულწლოვანს ვგულისხმობ) და მას მივუსჯით სასჯელის ყველაზე მკაცრ ფორმას „პატიმრობა“ რა გარანტია გვაქვს, რომ საზოგადოებას იგი ნამდვილ ბოროტმოქმედად არ დაუბრუნდება?

არანაირი, რადგან შესაძლოა გაბოროტდეს და შურისძიების მოტივით კიდევ უფრო ცუდი და მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩაიდინოს. ამიტომ არის განრიდება და მედიაცია საუკეთესო გამოსავალი, რომ სწორი გზა ვაჩვენოთ და არ დავუშვათ მათი სტიგმატიზაცია, რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დამნაშავე ადამიანს თავზე ხელი გადავუსვათ და არ ვაგრძნობინოთ, თუ მან როგორი ცუდი საქციელი ჩაიდინა. პირიქით, განრიდების და მედიაციის მიზანიც ხომ ის არის, რომ პირმა გააცნობიეროს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ხარისხი და ხასიათი. იგი ჩამოყალიბდეს პიროვნებად და არა კრიმინალად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „განრიდება და მედიაცია“ - ეს არის დღესდღეობით ერთ-ერთი უალტერნატივო, მოქნილი და საზოგადოებაზე მორგებული პროგრამა, რომელიც, როგორც უკვე ავღნიშნე, არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს მრავალი წამყვანი ქვეყნის მონაპოვარია. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმ რეალობას, რომ „დასჯა გამოსავალი არ არის“.

დანართი N1

სრულწლოვანთა და არასრულწლოვანთა განრიდების 2016-2018 წლის სტატისტიკური მონაცემები:

წელი	**14-18 წლამდე არასრულწლოვანთა**	**18-21 წლამდე სრულწლოვანთა**

	განრიდება	**განრიდება**
2016	**462**	**322**
2017	**475**	**435**
2018	**497**	**400**

დანართი N2

2018 წლის განრიდების და მედიაციის სტატისტიკური მონაცემები სქესის მიხედვით:





გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები

1. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მესამე გამოცემა, ავტ. კოლექტივი, რედაქტორები: გახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი., გამომც. „იურისტების სამყარო," თბ., 2015;

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი თბ., 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, თბ., 2015;

3. ქელბაქიანი ნ., ცაგარელი ნ., არასრულწლოვანთა განრიდების და განრიდება-მედიაციის პროგრამის კვლევა საქართველოში, თბ., 2018;

4. ცერცვაძე გ., „მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა," 2010;

5. არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, 2015;

6. ნაჭყებია გ., საიუბილეო კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, თბ., 2016;

7. ცოცანიძე გ., ლოლაძე ნ., დათუკაშვილი ქ., ქართული ლექსიკონი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

8. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014;

9. ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, გამომც. „მერიდიანი." თბ., 2010;

10. დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი. თბ., 2011;

11. ქუთათელაძე მ,. სადისერტაციო ნაშრომი „განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში". თბ., 2017;

12. შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, გამომცემლობა „მერიდიანი." თბ., 2011;

13. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრანქფურტი, სტრასბურგი, თბ., 2016;

14. შალიკაშვილი მ., „არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი,კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები," გამომცემლობა „მერიდიანი."თბ., 2013;

15. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური,

სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, გამომცემლობა „მერიდიანი.“ თბ., 2011;

16. სტივენ მ. ოსტერმინელერი., დილეინ რ. სვენსონი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი.“ თბ.,2014;

17. ტყემალაძე ს., „მედიაცია საქართველოში,“ თბ., 2016;

18. კური ჰ., კულმანი ა., „მედიაცია გერმანიასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში,“ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, სამართალი #3, თბ., 2014;

19. გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი. გამომც „მერიდიანი,“ თბ., 2007;

20. ქეროლინ ჰამილტონი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელძღვანელო მითითებები, თბ.,2013;

უცხოური ლიტერატურა

21. http://intermedia.ge

22. keidelberg K.H., fragen undo antworten zum jugendstrafrecht laubenthal, berlin 2006.

23. „Victim-offender-mediation in germany” https://mafiadoc.com

სასამართლო გადაწყვეტილებები

24. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის 2/1/415 გადაწყვეტილება.

25. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის #216 ბრძანება „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების, ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე.“

26. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 01 თებერვლის №120 ბრძანება; არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდების და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პრობლემების დამტკიცების შესახებ.

ნორმატიული აქტები

27. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995 (ახ.რედ.);

28. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. 2015;

29. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბ., 2009;

30. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბ., 1999;

ვებ.გვერდები

31. https:mimomxilveli.wordpress.com

32. www.pog.gov.ge

33. www.ganrideba.ge

34. matsne.gov.ge